ლიტერატურული საქართველო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 16 (296) გამოცემის მე-16 წელი

● 1972 წლის 25 აგვისტო

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა


გ. დ. გუდიაშვილისათვის სსრ კავშირის სახალხო მხატვრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში დიდი მიღწევებისათვის ვლადიმერ (ლადო) დავითის ძე გუდიაშვილს მიენიჭოს სსრ კავშირის სახალხო მხატვრის საპატიო წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. პოდგორნი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი 1972 წლის 4 აგვისტო.



საუბარი ფერწერის დიდოსტატთან

ამ ოცდათხუთმეტიოდე წლის წინათ პარიზის მხატვრულ ცხოვრებაში ტრიალებდა ერთი ახალგაზრდა ქართველი ფერმწერი. მისი სურათები გამოფინეს პარიზში, მარსელში, ბორდოში, ლიონში, ლონდონში, რომში, ბრიუსელში, ამსტერდამში, ნიუ-იორკში... ცნობილი ფრანგი ხელოვნებათმცოდნე მორის რეინალი წიგნს წერს ამ ახალგაზრდაზე და ხელოვანნი ულოცავენ ლამის სენსაციურ წარმატებას.

იმ ახალგაზრდა მხატვრის სახელი და გვარი ცოტა უცნაურად ჟღერდა ევროპელებისათვის. დღეს იგი კეცხოველის ჭუჩაზე ცხოვრობს, ქაშვეთის ახლოს. სხვათა შორის ქაშვეთის ფრესკები ლადო გუდიაშვილის ნახელავია...

1960 წელს საქართველოში შოთა რუსთაველის სახელობის პრემია რომ დაწესდა ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის საუკეთესო ქმნილებებისათვის, ჟიურიმ ერთხმად გადაწყვიტა, რომ ერთი პირველთაგანი პრემია მინიჭებოდა ლადო გუდიაშვილს.

ამ დღეებში სახელგანთქმულ მხატვარს ესტუმრა ჩვენი კორესპონდენტი ვახტანგ ჩხუმიანი. გთავაზობთ საუბრის ჩანაწერს.

● ბატონო ლადო, თქვენ ექვსი წელიწადი ცხოვრობდით პარიზში, ალბათ, ნაცნობ-მეგობრებიც გყავდათ იქ მცხოვრებ ქართველთა შორის?

— 1919 წელს სოფრანგეთში სასწავლებლად წავედით ორი ახალგაზრდა მხატვარი. დავით კაკაბაძე და მე. პარიზში ერთი წელი ვმეცადინეობდი რონსონის აკადემიაში, მერე კი ვმუშაობდი დამოუკიდებლად, ვეცნობოდი პარიზის მხატვრულ ცხოვრებას.

რაც შეეხება ნაცნობ-მეგობრებს, ესენი ძირითადად ისევ ხელოვნებასთან დაკავშირებული ადამიანები იყვნენ: იწენური ციციშვილი, რომელიც მერე საქართველოში დაბრუნდა, სოლორაშვილის ქალი — ლიტერატორი და სხვანი.

ჩვენი საყვარელი ადგილი იყო კაფე „როტონდა“, სადაც იმართებოდა საინტერესო დისკუსიები ხელოვნებაზე, სისტემატიურად ეწყობოდა გამოფენები. აქვე გავიცანი არაერთი დიდი ხელოვანი. კერძოდ, ახლო ურთიერთობა მჭონდა მოდილიანთან, რომლის გრაფიკულ ნაჩუქარს დღემდე სათუთად ვინახავ... ვმეგობრობდი ლეჟესთან, იაპონელ ლეონარდო ფუჯიტასთან, ხელოვნებათმცოდნე პიერ ვორმსთან, ცნობილ გრაფიკოს ფრანს მაზერელთან, რომელიც უფრო მოგვიანებით — 1935 წელს — მეტატუმრა კიდეც აქ, თბილისში...

● უცხოეთში ყოფნისას რა იყო თქვენთვის ყველაზე ღირსსახსოვარი?

— განსაკუთრებით მინდა გამოვყო, მე ვიტყოდი, ჩემი იმდროინდელი ცხოვრების ორი მოვლენა. პირველი — გახლდათ ფრანგი კრიტიკოსისა და ხელოვნებათმცოდნის, „თანამედროვე მსოფლიო მხატვრობის ისტორიის“ ავტორის მორის რეინალის მონოგრაფია ჩემზე, პარიზში ჩემი ყოფნის დროს რომ გამოიცა, და მეორე — დიდი ესპანელი მხატვრის იგნასიო სულოაგას სტუმრობა და მას მიერ ჩემი სურათების შეძენა...

● როგორ მოხდა, რომ ვერც წარმატებამ, ვერც უცხოეთში დიდი ხნით ყოფნამ, ვერც უამრავი „იზმებით“ დამუხტულმა ატმოსფერომ გაგლენა ვერ მოახდინეს თქვენს სტილზე, ფერწერის მანერაზე?

— მე ყოველთვის ერთგული ვიყავი ჩემი პრინციპებისა... როცა პირველ გამოფენებზე დაწერილი რეცენზიები წავიკითხე, კიდევ უფრო დავრწმუნდი, რომ სწორ გზაზე ვიდექი. არ უნდა დამეკარგა საკუთარი „მე“ და არ უნდა მოვყოლოდი „მოდერნის“ ნიაღვარში, რომელიც პიკასომ, მატისმა, დე რენიემ და სხვებმა დასძრეს და რომელმაც წალეკა მთელი დასავლური მხატვრობა. ერთი სიტყვით, არ უნდა მომეჭრა ის ტოტი, რომელზეც ვიჯექი!

● ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ თქვენ შეჰქმენით ქართული ფრესკული ფერწერის, ალმოსავლური მხატვრობისა და ფიროსმანისეული ზოგიერთი ნიშნის სინთეზი... რას იტყვით ამაზე?

— დაახლოებით ეგრეა ალბათ... მხატვარი ციდან ვერ ჩამოფრინდება. იგი რთული ფენომენია, ბევრ რამეს ეყრდნობა მიწაზე ისე, რომ შეიძლება თვითონაც არ იცოდეს — რა დროს რომელი საწყისი დომინანტობს. და მაინც ჩემთვის დღემდე გაუგებარი რჩება — საიდან გაჩნდა ფიროსმანი! განა საოცარი არ არის?! ის ხომ თვითონ არის პირველწყარო!... გახსოვთ, ორიოდე წლის წინ რომ მოეწყო მისი გამოფენები ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, პარიზში... და მერე, სად?! ლუვრში!! პარიზში ჩემი ყოფნის ექვსი წლის მანძილზე ესოდენი პატივი არ ღირსებია არც ერთ მხატვარს! ჩვენმა ნიკალამ პარიზი დაიპყრო! მას აღტაცებული რეცენზიები უძღვნეს „ლუმანიტემ“, „ფიგაროს“, „ლეტტრ ფრანსეზმა“. ის დააყენეს სახელგანთქმულ ფრანგ პრიმიტივისტ რუსოზე მაღლა!...

● თქვენ ერთი პირველი დამფასებელთაგანი ბრძანდებით ნიკო ფიროსმანაშვილისა, ორჯერ შინაც ეწვიეთ. გვიამბეთ ამ შეხვედრებზე.

— მაშინ ჯერაც ჭაბუკი ვიყავი, მხატვართა საზოგადოებამ დამავალა, მომეძებნა ნიკალა...

თავიდანვე მომხიბლა ორი რამით: ორიგინალობითა და უშუალობით. ძალზე ღარიბულად ეცვა, მაგრამ მაშინვე მიხვდებოდით, რომ ეს კაცი ინტელიგენტი იყო. სახე ჰქონდა ისეთი. როცა მივედი და მხატვართა საზოგადოების მიერ შეგროვილი ფული მივუტანე, იუცხოვა — მე ხომ არაფერი გამიკეთებია და ფული რისთვის ავიღოო. რომ აღარ მოვშვები, საღებავების საყიდლად მაინც გამოვადგება-მეთქი. მითხრა, დაჯექი, თათარიახნად უნდა დავხატოო. მივიხედ-მოვიხედე — ვერც ფუნჯი დავინახე სადმე, ვერც საღებავი. დიდუბეში, კიბის ქვეშ ცხოვრობდა, კარში ჩატანებული სარკმლიდან ბლიკს ატანდა შუქი. ნეტა რითი მიპირებსმეთქი დახატვას, ვიფიქრე. ვთხოვე, შემდეგისათვის გადაგვედო ეს საქმე. ეწყინა. ჰო, რა თქმა უნდა, თქვენ აღარ იკადრებთო... მერე კი გამხმარი პურის ნატეხები ამოიღო საიდანღაც და: დუქანში გავიქცევი, ერთ ბოთლ ღვინოს მოვიტან, უნდა გაგიმასპინძლდეო. ვიუარე, არა ვსჯამ-მეთქი. მაშინ ლიმონათს მოვიტანო. ამაზეც რომ უარი განვაცხადე, წყალი შემოიტანა ეზოდან — ეს მაინც მიაყოლეო...

● როგორც ცნობილია, თბილისის სამხატვრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ თითქმის ხუთი წელიწადი მუშაობდით არქეოლოგიურ ექსპედიციებში ქვითირმი თაყაიშვილთან ერთად, სწავლობდით ქართულ არქიტექტურულ ძეგლებს, იღებდით ფრამსქების პირებს... რა მოგცათ ყოველივე ამან თქვენ, როგორც მხატვარს?

— ძალიან ბევრი რამ. ეს იყო ჩემთვის ნამდვილი აკადემია, რომელმაც არსებითი როლი ითამაშა ჩემი სტილის ჩამოყალიბებაში, საკუთარი თავის პოვნაში. ჩვენს ახალგაზრდა მხატვართ ხშირად ვურჩევ ხოლმე: ისწავლეთ ქართული მონუმენტური ფერწერის ოსტატებისაგან, თუ გინდათ, რომ ქართველი მხატვრობა! ხოლო თუ დიდ პატივს სცემთ „მოდერნს“, ისწავლეთ... ისევ ჩვენი ფრესკებით! მართლა გეუბნებით! როგორ? აიღეთ თუნდაც „სერობა“ სვეტიცხოვლისა: ამოყირავებული მაგიდა, საწინააღმდეგო პერსპექტივა, დარღვეული პროპორციები... „მოდერნი“ სხვა კი არაფერია!.

● თქვენს შემოქმედებაში ივდენად ძლიერია პოეტური საწყისი, რომ თავს ნებას მივცემ შეგეკითხოთ — ლექსებისა წერა ხომ არასოდეს გიცდიათ?

— არა, ლეჭრები არასოდის მიწერია, მაგრამ ჩემს არაერთ ნაწარმოებს დასდებია საფუძვლად ლექსით მიღებული შთაბეჭდილება.

● თუ არა ვცდები, თქვენ ახლო ურთიერთობა გძონდათ „ცისფერყანწელებთან“ — ქართველი სიმბოლისტების ჯგუფთან...

— მეტიც! — მე თვითონ, როგორც მხატვარი, წევრი გახლდით ამ ჯგუფისა..

● ხელოვნების სხვა დარგებიდან რომელი გიყვართ გამორჩევით?

— მუსიკა. დამიქარავს კიდევ მასწავლებელი მშობლებმა — ჯიოლინოზე დაკვრას ვსწავლობდი ბავშვობაში. მაგრამ ბუნებას ალბათ დაედგინა, რომ ჩემგან მხოლოდ მხატვარი გამოსუფთაიყო. როგორც კი დაკვრას დავიწყებდი, რატომღაც მაშინვე გული ამტკივდებოდა, დავდებდი ვიოლინოს — გამივლიდა ტკივილი მერე. ის იყო — თავი დავანებე მუსიკას და ხატვა დავიწყე. ძალიან მიყვარს ორატორული ხელოვნებაც. კარგ ორატორს ისეთივე სიამოვნებით ვუსმენ, როგორც კარგ სურათს ვუყურებ.

● ვეღარა საქართველოს ქართული ლიტერატურიდან ვის გამოყოფდით?

— პოეზიიდან — გალაკტიონს, გიორგი ლეონიძეს, სიმონ ჩიქოვანს. პროზიდან კი კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვილს...

● კონსტანტინე გამსახურდია ამბობს ერთგან: მე მსოფლიოში ყველაზე პატარა მდინარის — ჯანას პირას ვარ დაბადებული და იმას ვცდილობდი მუდამ, მსოფლიოს უდიდეს მდინარეთა პირას დაბადებულთათვის მეჯობნაო... თქვენ თუ გყოლიათ ისეთი ქვეშეცნეული „მეტრეძე“, ვისაც სულის სიღრმეში ეჯიბრებოდით?

— მართალი გითხრათ, ხატვის დროს იმდენად ვარ ჩაფლული სურათის სამყაროში, დრო აღარ მრჩება ვინმესთან საჯიბროდ. ამ დროს ჩემი სამუშაოს მეტზე არაფერს ვფიქრობ.

● რომა ნაწარმოებს ეცნობით, რა არის თქვენი კრიტერიუმი მისი ავტორის შესაფასებლად?

— პირველ რიგში — ნიჭიერება, რომელიც იმდენად სხვადასხვა რამეში იჩენს თავს, რომ მოკლედ და ამომწურავად შეუძლებელია პასუხის გაცემა. მაგრამ შემძლია უფრო კონკრეტული მაგალითის მოყვანა: თუ მრავალფეროვანი კომპოზიციაში ვხედავ რომ ხელობა კარგად არის დახვეწილი, ესე იგი — ავტორი ოსტატია! მერე — კოლორიტი, რამდენად არის საკუთარი? ზოგჯერ კი თუმა... სიუჟეტი, მაგალითად, გოგასთან, იმოდენად შთაბეჭდილებას ახდენს, რომ აღარ იცი, შინაარსზე იფიქროთ თუ ავტორის პროფესიულ დონეზე.

● ზოგიერთი მხატვრის შემოქმედება ადამიანს გაიძარცვინებს, რომ იგი „ფერებით აზროვნებს“. თუ ვიხმართ ამ პირობით ტერმინს, შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ თქვენ „ხაზით აზროვნებთ“?

— ეს საინტერესო შეკითხვაა და ვფიქრობ, უფრო სწორი იქნება, თუ დაებრით პასუხს გაგიკმთ...

● რომ მოგანიჭოს კიდევ ასი წლის ციცოცხლე და ახალგაზრდული ენერგია, როგორ შეიქრობთ, მიიღებდა თქვენი შემოქმედება პრინციპიულად ახალ, განსხვავებულ მიმართულებას?

— უეჭველად მიიღებდა! დღეს კი, როცა სამოცდათხუთმეტს გადავაბიჯე, ერთ რამეს ღა ვცდილობ: მოვასწრო შეძლებისამებრ მეტი! თუკი რამედ ღირს და რაიმე ფასი აქვს იმას, რაც ჩემი სიცოცხლის მანძილზე შემიქმნია — მინდა ჩემს ხალხს, ჩემს საქართველოს დარჩეს იგი. ამიტომ ვერ ვიტან ამადმყოფობას, საშინლად მიჯავრდება წოლა, არადა, ამ ბოლო დროს ხშირად ვარ იძულებული, დავიმორჩილო ექიმისა და მეუღლის ბრძანებებს... მეტი რა გზა მაქვს — მწოლიარე ვმუშაობ...

● უცხოეთში რომ ცხოვრობდით, ყველაზე დიდ გეძნიერებად რა მიგაჩნდათ?

სამშობლოში დაბრუნება. — ეს არ არის ლამაზი და ლიტონი სიტყვა. მე და დავით კაკაბაძე სწორედ იმ დროს დავბრუნდით პარიზიდან, როცა უკვე გადალახული იყო ყველა სიძნელე, როცა ყველაფერი ისე აწყო, რომ შეიქმნა ჩვენს ირგვლივ ძალზე ნორმალური და სასიამოვნო ატმოსფერო, მივიღეთ დაკვეთები უაღრესად სოლიდური გალერეებისაგან და გადავშალა ჩვენ წინ შემოქმედებისა და ცხოვრების ახალი ასპარეზი... სწორედ ამ დროს, ან იქნებ ამიტომაც, ჩვენ ვიგრძენით, რომ ვიდექით უცხოეთში გათქვეფის საშიშროების წინაშე და გადავწყვიტეთ საქართველოში დაბრუნება, რათა სამშობლოსათვის მოგვეხმარა ის ცოდნა თუ გამოცდილება, რომელიც საუღვარგარეთ მივიღეთ. ეს იყო 1926 წელს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ რომ ჯაიმარჯვა, ჩვენ ორი წლის ჩასულები ვიყავით პარიზში. მაშინ კი, როცა შინ დაბრუნების დრო დადგა, მე და დავითს გვირჩევდნენ, ხელი აგვეღო ამ განზრახვაზე, გვაშინებდნენ იმ საეჭვო პატივით, რითაც ახალი ხელისუფლება დაგვხვდებოდა. მაგრამ ჩვენი გადაწყვეტილება ურყევი იყო, უფრო მეტიც — ამჭვიანად ჩვენი არსებობის ერთადერთი გამართლება — მშობლ ხალხთან ერთად სამშობლოს საშსახური იყო!

რეზონერობისაგან შორს ვდგავარ, მაგრამ მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ვეცხოველებ მცხოვრებ თანამემამულეებს ვუთხრა: — ხელი გაგემართოთ, სადაც ხართ! სამშობლოში დაბრუნებაზე იფიქრებთ თუ არა — თქვენი საქმეა... ოღონდ, გახსოვდეთ, რომ არსებობს საქართველო და თქვენ ქართველები ხართ! გახსოვდეთ ეს და იცოდეთ, რომ სადაც ცხოვრობთ და მოღვაწეობთ, იქაც და ამაყ საქმითაც საქართველოსათვის იყოთ სასარგებლონი.

ჰა ბურთი, ჰა მოედანი!

როგორია სპორტული 1972 წლის ეგრეთ წოდებული საშუალედო ფინიში?

როგორც ვიცით, დიდი სპორტი მასობრივობიდან იღებს სათავეებს. დღეისათვის საქართველოში 1.170.206 ფიზკულტურელია, რაც თითქმის რესპუბლიკის მოსახლეობის მეოთხედს შეადგენს, მაშინ, როცა საბჭოთა კავშირში იგივე მონაცემები 18 პროცენტს უდრის. ჩამოყალიბებულია 6.829 ფიზკულტურული კოლექტივი, გვყავს სპორტის 116 დამსახურებული ოსტატი, სპორტის 3400 ოსტატი, სპორტის ოსტატობის 1.599 კანდიდატი, 245 ათასზე მეტი თანრიგოსანი. მოზარდი თაობის სპორტული აღზრდისა და დაოსტატების საქმეს ემსახურება საბჭოთა კავშირის 72 დამსახურებული მწვრთნელი და საქართველოს 294 დამსახურებული მწვრთნელი. ეს კი, როგორც ხედავთ, ძალზე დიდი არმიაა.

რესპუბლიკის ახალგაზრდობის განკარგულებაშია 97 სტადიონი, 2.007 საფეხბურთო მოედანი, ათასობით ფრენბურთისა და კალათბურთის მოედანი, 950 სპორტული დარბაზი, 62 საცურაო აუზი...

ფიზკულტურულ-მასობრივი და გამაჯანსაღებელი მუშაობის საუკეთესოდ დაყენებისათვის საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაცია წლეულს მეცამეტედ დაჯილდოვდა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშითა და საპატიო სიგელით.

ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურულ ცხოვრებას დიდ ყურადღებას უთმობს კომუნისტური პარტია, მთავრობა.

პარტიისა და მთავრობის სპორტზე ზრუნვის კიდევ ერთი დადასტურებაა მიმდინარე წლის 1 მარტიდან მშთ-ს („მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის") ახალი კომპლექსის შემოღება, რაც ფიზიკური აღზრდის საბჭოური სისტემის საპროგრამო საფუძველს წარმოადგენს.

ჭალაქებს შორის, უველაზე დიდი წარმატება აქვს თბილისს — საქართველოს ნაკრებ გუნდებში სპორტსმენების დაახლოებით 70-80 პროცენტი დედაქალაქიდან მოდის. რესპუბლიკის ნაკრებისათვის მაღალკვალიფიციურ ოსტატებს გვაძლევენ აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისის, გორისა და სხვა სპორტული ორგანიზაციები.

სპორტული ორგანიზაციებიდან კარგი მაჩვენებლები აქვთ „დინამოს", „ქარიშხალას", „განთიადს" და სხვებს, ხოლო რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლებიდან — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს, ფიზკულტურის ინსტიტუტსა და სხვებს.

მომდინარე ხუთწლედში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სპორტულ ნაგებობათა მშენებლობას. საქართველოს სპორტსმენებმა უკვე მიიღეს ბაკურიანის კიდევ ერთი ტრამპლინი, ქუთაისის სამაბაზანიანი საცურაო აუზი, თბილისის საცხენოსნო მანეჟი, ფარიკაობის, კრივისა და ძალოსნობის კომპლექსი, თანამედროვე ტიპის ველოსტადიონი, რომელიც ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა. სულ მალე მწყობრში ჩადგება შესანიშნავი საჰადარაკოალპინისტური კლუბის ახალი შენობა, მძლეოსნური მანეჟი, თბილისის „დინამოს" სტადიონი და სხვ.

დიდი მშენებლობაა გაჩაღებული აგრეთვე რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში. სოხუმში მწყობრში ჩადგა კომბინირებული დარბაზი კალათბურთის, ფრენბურთისა და ხელბურთის სათამაშოდ, ხოლო ამჟამად მიმდინარეობს ახალი სტადიონის მშენებლობა 20.000 მაყურებლისათვის. ჰაერული მშრომელები ბათუმში მალე მიიღებენ „დინამოს" რეკონსტრუირებულ სტადიონს, რომელიც რესპუბლიკაში ერთ-ერთი საუკეთესოთაგანი იქნება. დაიწყო აგრეთვე ცხინვალის სტადიონის რეკონსტრუქციაც. მცხეთაში მწყობრში ჩადგა ნიჩბოსნობის ახალი სადგური, ხოლო სვანეთში — აილამას ალპინისტური ბანაკი. ქუთაისში ექსპლოატაციაში შევიდა მძლეოსნობის დახურული მანეჟი, შენდება თანამედროვე ტიპის კალათბურთის დარბაზი. სამტრედიაში შეუდგნენ სპორტული დარბაზის მშენებლობას. ფოთში მიმდინარეობს ნიჩბოსნობის ოლიმპიური ბაზის მშენებლობა. ხოლო სოხუმში სუბტროპიკული ინსტიტუტის ტერიტორიაზე შენდება თანამედროვე სპორტული დარბაზი.

საქართველოს ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის იმდენი ჩემპიონი ჰყავს, რამდენიც ერთად აღებულ ათიოდე ქვეყანაშიც შეიძლება არ იყოს. ვინ არ იცნობს მსოფლიოს ჩემპიონებს ვეი კარტოზიასა და ვახტანგ ბალავაძეს, არსენ მეკოჟიშვილსა და როსტომ აბაშიძეს, შესანიშნავ სპორტსმენებს ბორის პაიჭაძეს, ნინო დუმბაძეს, ელენე გოცირელს, ოთარ ჯორჯიას, ნოდარ ჯორჯიას, სლავა მეტრეველს. დღეს მათ დიდებას ღირსეულად აგრძელებენ ნონა გაფრინდაშვილი და ალექსანდრე მეტრეველი, თინათინ ლეკვეიშვილი და ნანა ალექსანდრია, ომარ ფხაკაძე, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, თეიმურაზ კაკულია, ვიქტორ სანეევი და დიმიტრი შანიძე, ზურაბ საკანდელიძე, მიხეილ ჯორჯია და მრავალი სხვა.

მათი მაღალი ოსტატობა ნაყოფია იმ დიდი და დაუღალავი შრომისა, რომელსაც ეწევიან შესანიშნავი მწვრთნელები მარგარიტა ტატიშვილი, შალვა ჯანიაშვილი, შოთა წერეთელი, მიხეილ თაკაძე, შუქრი ჭედია და სხვანი.

საბჭოთა სპორტის გენერალურ დათვალიერებაზე — სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებზე საქართველოს სპორტსმენები უოველთვის წარმატებით გამოდიან და მოსკოვიდან, როგორც წესი, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მდელებით მკერდდამშვენებულნი ბრუნდებიან.

სახსახელო მიღწევები აქვთ ჩვენს სპორტსმენებს კაცობრიობის უდიდეს სპორტულ შეჯიბრებაში — ოლიმპიურ თამაშებშიც.

ჩვენი ოლიმპიელები ხუთი რგოლის ქალაქიდან უოველთვის დიდი „ნადავლით" ჩამოდიან. XIX ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს წარგზავნილებმა გაუწერეს ავსტრიის, თურქეთის, კანადის, ბელგიის, მექსიკის, არგენტინის, ესპანეთის, ირანისა და სხვა ქვეყნების სპორტსმენებს.

ვფიქრობთ, დღეს საინტერესოა გავიხსენოთ საქართველოს „ოქროს ოლიმპიელების" სახელები, რომელთა წარმატებები უოველთვის სამაგალითოა — მოჭიდავე დავით ციმაკურიძე, ძალოსანი რაფიელ ჩიმიშკიანი და ტანმოვარჯიშე მზია ჭულელი (XV ოლიმპიური თამაშები), მოჭიდავეები გივი კარტოზია და მირიან ცალქალამანიძე (XVI თამაშები), მძლეოსანი რობერტ შავლაყაძე და მოჭიდავე ავთანდილ ჭორიძე (XVII თამაშები), მოფარიკავე ნუგზარ ახათიანი და ფრენბურთელი ვაჟა კაჭარავა (XVIII თამაშები), მოჭიდავე რომან რურუა და მძლეოსანი ვიქტორ სანეევი (XIX თამაშები).

მიუნჰენის ოლიმპიურ თამაშებზე, სამშობლოს სპორტულ ღირსებას დაიცავენ ჩვენი შესანიშნავი კალათბურთელები — თბილისის „დინამოს" წევრები — სპორტის დამსახურებული ოსტატი ზურაბ საკანდელიძე და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი მიხეილ ჭორჭია.

ოლიმპიადის საბიელზე კვლავ ვიხილავთ ჩვენს უძლიერეს ველოსრბოლელს ომარ ფხაკაძეს, ხოლო მოცურავეთა ნაკრები გუნდის ღირსებას კვლავ დაიცავს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ევროპის ჩემპიონი თინათინ ლეკვეიშვილი. სპორტის დამსახურებული ოსტატი, ძალოსანი დიმიტრი შანიძე კვლავ გამოვა ოლიმპიურ ფიცარნაგზე. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მიუნჰენში კვლავ წარმატებით იასპარეზებს ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი მშვილდოსნობაში ჭეთევან ლოსაბერიძე. როგორც ცნობილია, რამდენიმე ხნის წინ ხელის სერიოზული ტრავმა მიიღო ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთმა უძლიერესმა ტანმოვარჯიშემ, თბილისელმა ნინო დრონოვამ. მაგრამ მისი ნებისყოფა და ნიჭი გვაძლევს იმედს, რომ იგი ღირსეულად გამოვა თავის პირველ ოლიმპიადაზე.

საქართველო XIX ოლიმპიურ თამაშებზე პირველად აგზავნის ნიჩბოსანთა მთელ „ტრიოს". ესენი არიან ოლეგ ჭაფიანიძე (აკადემიური ნიჩბოსნობა), გიორგი ნასყიდაშვილი (წყლის სლალომი) და ვიქტორ კრატასიუკი (ბაიდარები).

საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები მრავალი წლის შესვენების შემდეგ კვლავ მოხვდა ოლიმპიადის ფინალში. მის რიგებში ამჟამად ორი ქართველი სპორტსმენი გამოდის — სპორტის დამსახურებული ოსტატი მურთაზ ხურცილავა და რევაზ ძოძუაშვილი.

მიუნჰენის ოლიმპიადის უველაზე მეტი საგზური საქართველოდან, როგორც უოველთვის, მოჭიდავეებმა მოიპოვეს — მსოფლიოს ჩემპიონი ლევან თედიაშვილი (თავისუფალი სტილი), უძლიერესი ფალავნები ჯემალ მგრელიშვილი (კლასიკური სტილი), გივი ონაშვილი, გურამ გოგოლაური და შოთა ჩოჩიშვილი (სამივე — ძიუდო). უნდა ვიფიქროთ, რომ უოველი მათგანი შეეცდება ღირსეულად დაიცვას ქართული სპორტის სახელი.


სიტყვა როგორც იტყვიან, ქართველ ოლიმპიელებზეა — ჰა ბურთი, ჰა მოედანი!

გიორგი სიხარულიძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.



სურათზე: შეტევაზეა მურთაზ ხურცილავა.

ოქროთი და ვერცხლით ქაბუკლი...





სურათებზე: მედალოსანი კონიაკები (ზევით) და ღვინოები (ქვევით). ედუარდ ბიბილაშვილის ფოტო.

ჩვენს ვენახებში მოკრეფილი უურძნისაგან დაწურული ღვინით ჭართველ კაცთან ერთად სადღეგრძელოს ამბობს რუსიც, უკრაინელიც, სომეხიც, ინგლისელიცა და იტალიელიც...

ჭართულ ღვინოებსა და კონიაკებს საკავშირო, საერთაშორისო თუ მსოფლიო კონკურსებზე, არც მეტი არც ნაკლები, — ოქროს 120 მედალი აქვთ მოპოვებული!

ორიოდე კვირის წინათ კიდევ ერთი ზეიმი გადაიხადა, კიდევ ერთხელ გვასახელა ჭართულმა ვაზმა, მის მტევნებში ჩამდგარმა მზის სითბომ და მიწის ბარაქამ.

...ღვინოებისა და კონიაკების ბულგარეთის II საერთაშორისო კონკურსზე საპატიო ჭილდოების მისაღებად ერთმანეთს ეცილებოდნენ საბჭოთა კავშირის, ავსტრიის, ალბანეთის, ალუირის, არგენტინის, კანადის, ჩილეს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ესპანეთის, საფრანგეთის, საბერძნეთის, იტალიის, იაპონიის, იუგოსლავიის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, შვეიცარიის, შოტლანდიის, უნგრეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ბულგარეთის სხვადასხვა ფირმის გამოშვებული სასმელები. სულ კონკურსზე მსოფლიოს 23 ქვეყნიდან წარმოდგენილი იყო ღვინის, კონიაკისა თუ შამპანურის 758 ნიმუში.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს მეღვინეობის მრეწველობის ტრესტმა — „სამტრესტმა" უიურის წარუდგინა ჭართული ღვინოები: „წინანდალი", „მუზუკანი", „უვარელი", „ახაშენი", „ტიბაანი", „კარდანახი" (ქახური) და კონიაკები: „თბილისი", „საჭართველო" და „ვარძია".

დეგუსტაცია ფარული წესით მიმდინარეობდა. დეგუსტატორებმა არ იცოდნენ, რომელი ქვეყნის ნიმუშებს აჭაშნაკებდნენ და, რაღა თქმა უნდა, განაჩენიც ობიექტური იყო. ღვინოების შეფასება ხდებოდა 20-ბალიანი, ხოლო კონიაკებისა 5-ბალიანი სისტემით.

და აი დადგა შედეგების გამოქვეყნების დღეც. ჩვენდა გასახარად „წინანდალი", „მუკუზანი", „უვარელი", „ახაშენი", კონიაკები — „თბილისი", „საჭართველო" და „ვარძია" ოქროს მედლებით დაჯილდოვდნენ, ხოლო „ტიბაანსა" და „კარდანახს" ვერცხლის მედლები მიეკუთვნათ.

საუბარში ბულგარეთის II საერთაშორისო კონკურსის უიურის წევრმა, „სამტრესტის" ცენტრალური ლაბორატორიის გამგემ თამაზ კანდელაკმა განაცხადა — ცოტა არ იყოს, „ტიბაანისა" და „კარდანახის" ვერცხლმა გული დამწყვიტა, მაგრამ ევროპაში ქახური წესით დამზადებულ ღვინოებს ჯერ კიდევ კარგად არ იცნობენ და ვერც ჯეროვნად აფასებენ. უიურის ერთ-ერთ წევრს, რომელმაც „ტიბაანსა" და „კარდანახს" შედარებით დაბალი ნიშანი დაუწერა, პირადად ავუხსენი ქახური წესით ღვინის დამზადების უველა დეტალი, ვუთხარი, რა უპირატესობა აქვს მას ევროპული წესით დამზადებულ ღვინოებთან და სხვა. გამოცდილმა მეღვინემ უურადღებით მოისმინა და მეღვინეობაში აღმოჩენილმა სიახლემ ისე დააინტერესა, რომ მთხოვა, რამდენიმე ბოთლი „ტიბაანი" და „კარდანახი" მაჩუქებო. არაობიექტურობისათვის კი, რაც უნებლიეთ, უფრო სწორად, უცოდინარობით მოუვიდა, ბოდში მოიხადა. შემპირდა — სამშობლოში რომ ჩავალ, ქახურად დამზადებულ ღვინოებზე სპეციალურ ნაშრომს გამოვაქვეყნებო...

კონკურსმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რომ ჭართული ღვინოები და კონიაკები მსოფლიო სტანდარტების დონეზე დგას და ეხლა მათ სხვები უტოლდებიან.

სულ მალე უნგრეთში ღვინოებისა და კონიაკების მსოფლიო კონკურსი მოეწყობა. უნდა ვიფიქროთ, რომ ჭართველ მეღვინეებსთა ნახელავი იქიდანაც მკერდდამშვენებული დაბრუნდება.

რევაზ მაჭავარიანი

დ ი დ ი ე რ ი ს კ ა ც ი

ილია ჭავჭავაძე და ინგლის-ბურების ომი

ილია ჭავჭავაძე გაზეთ „ივერიის“ ფურცლებიდან ხშირად ეჭომაგებოდა და მხარს უჭერდა ბურების სამართლიან ბრძოლას ინგლისელების წინააღმდეგ. გაზეთში ათავსებდა ცნობილი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების მეტად საინტერესო წერილებსა და ინფორმაციებს შორეულ აფრიკის სხვადასხვა კონტინენტზე მიმხდარ განმათავისუფლებელ ბრძოლის მიმდინარეობაზე. თვითონ ილიამ 1899 წელს (№ 271) გაზეთ „ივერიაში“ მოათავსა მოწინავე წერილი „ინგლის-ტრანსვაალის ომი“, მაგრამ ილია ჭავჭავაძის ეს საუურადღებო წერილი დღემდე მწერლის არც ერთ ტომში არ დაბეჭდილა და ამიტომ მთლიანად მოგვყავს[1]. წერილი იმითაც არის ძვირფასი, რომ ჩვენმა სასიქადულო ერისკაცმა ბრწყინვალედ განსჭვრიტა აფრიკელი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში მოპოვებული ის გამარჯვებები, რომელთა მოწმენი დღეს ჩვენ ვართ.

„თავმოწონებას ინგლისისა დიდი თავზარი დაეცა. ეს მართლა ძლიერი სახელმწიფო, ეს მდიდარი, ჭკუიანი, განათლებული და თამამი ერი ლამის დამარცხდეს ტრანსვაალის „ტატიებისაგან“, როგორც დაცინვით ინგლისელნი უწოდებდნენ სამხრეთ აფრიკაში დაბინავებულ ჰოლანდიის გლეხობას, რომელიც დღეს გულდაგულ წინ აღუდგა და ინგლისს გამარჯვებით ეომება. მარცხი მარცხზე მოსდის ინგლისსა და, არ იქმნა, ომის ბედმა მისკენ დღეს აქამომდე ვერ მოიხედა. ამ ბოლო ხანებში თვით მთავარწინამძღვარი ინგლისის ლაშქრისა ბულლერი საშინლად დამარცხდა ბურებისაგან, იგი ბულლერი, რომელმაც ლონდონიდან რომ მიდიოდა აფრიკაში, თითქმის იმედი მისცა, რომ ქრისტეშობის დღესასწაულებს ბურების სატახტო ქალაქში, პრეტორიაში გადავიხდიო. ახლა ამ თავმოწონებულმა და მოქადილე ვაჟბატონმა ეს დღესასწაულები უნდა გაატაროს თავში ცემით, ვაი ეს რა უბედურება დამემართაო.

თუმცა ბულლერის დამარცხებას იმოდენა მნიშვნელობას არ აძლევენ, როგორც მეორე გენერლის მეტუენის განადგურებას, მაგრამ, ჩვენის ფიქრით, ბულლერის დამარცხებას დიდი შედეგი უნდა მოჰყვეს. ჩვენა გვგონია, რომ რაკი მთავარწინამძღვარი ინგლისის ლაშქრისა ბურებმა გალახეს და ზურგზე ჰკონდა, რომ დღეს, იქნება თუ ხვალ, მაინც ინგლისი აჯობებს ტრანსვაალსო, დღეს ეს იმედი საეჭვოდ გაუხდა. არა, გვგონია, დღეის ამას იქით ინგლისმა გააწყოს რამ აფრიკაში და ბედი ომისა გამოიბრუნოს. უნდა ვიფიქროთ, რომ ინგლისის მფლობელობას აფრიკაში ანდეგრძი აეგო. ერთი ამისთანა გამარჯვება ბურებისა კიდევ და ინგლისმა გზა უნდა მონახოს შეგებისა, თავისი მძიმე შეილდ ძირს დასდოს და ტრანსვაალის „ტატიების“ წინაშე, თუ თავი არ ეოიხაროს, თითი მაინც უნდა მოიკაკოს.

ინგლისმა ბულლერს ჩამოართვა მთავარწინამძღვრობა და ეხლა მის მაგიერ სხვა დანიშნა, დღეს თუ ხვალ ეს ახალი სარდალი მიავა აფრიკაში, მაგრამ არავინ იცის რამდენად შემძლებელ იქნება გამოაბრუნოს სამარცხვინოდ წამხდარი საქმე. ჯერ თუმცა ბულლერის დამარცხების შემდეგ არა ვიცით რა რა მოხდა სამხრეთ აფრიკაში, მაგრამ ადვილად საფიქრებელია, რომ თვით ინგლისის სამფლობელო კოლონიებში ამ ამბავმა თავისი ზემოქმედება იქონია და აქაურნი მკვიდრნი გადაუყენა ჯერ ხანდ დამარცხებულ ინგლისსა და მიუმხრო გამარჯვებულს ბურებსა. თუ ეს მოხდა და უეჭველია, რომ უნდა მოხდეს, მაშინ ინგლისმა თუნდა ორი იმდენი ჯარი მიაშველოს, რაც აქამომდე ჰყავს სამხრეთ აფრიკაში, ჩვენის ფიქრით, ვეღარას იზამს და ბედს უნდა დაუმორჩილდეს. მაშინ სულ სხვა სახეს მიიღებს სამხრეთ აფრიკა. იქ იმისთანავე შტატები გაიმართება, როგორც ჩრდილო ამერიკასა, და ინგლისი პირში ჩალაგამოვლებული დარჩება.

იხგლისი რომ მარტო სამხრეთ-აფრიკისათვის იყოს მოცლილი ქიდევ იმედი იქნებოდა როგორმე გაბოიკეთებდა აქ საქმეს. ინგლისს ბევრგან გაბმული აქვს საქმეები და ყოველგან თოფი და იარაღია მისთვის საჭირო. ირლანდია, ინდოეთი, ავღანისტანი, მცირე აზია, ეგვიპტე, ჩინეთი და სხვა ამისთანა აუარებელ ძალღონეს ითხოვს ინგლისისაგან, რომ ყველგან მტერსაც დახვდეს და მოყვარესაც გაუძღვეს. ამიტომაც ინგლისს ძალიან უძნელდება საკმაო ჯარი გაისტუმროს აფრიკაში და ჯარმა სიმრავლით ტრანსვაალი დაამარცხოს. აკი ვამბობთ, საკმაოა ბურებმა ახალ წინამძღვარს ინგლისის ჯარისას აფრიკაში ის დღე დააყენონ, რაც ძველსა და თავმოწონებული ალბიონი იძულებულ შეიქმნება ტრანსვაალს მშვიდობიანობა სთხოვოს და, რაც ტრანსვაალი შეუცვეთს, მასზე თითქმის „ბალიაღი“ მოახსენოს“.

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასასრულს ესე განსჭვრიტა ჩვენმა დიდმა ერისკაცმა ბრიტანეთის იმპერიის დაკნინება, რისი მოწმეც გახდა მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის მსოფლიო.

ალექსანდრე სიგუა

---

[1] იხილეთ „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, ტომი V, ნაკვეთი I, გვ. 53. თამარ მაჭავარიანის შედგენილი, „საბჭოთა საქართველოს გამოცემა, 1967 წელი.

ქართული წიგნის რაინდი



სურათზე: ზაქარია ჭიჭინაძე

ქაცობრიობის ისტორიაში გვხვდებიან ადამიანები, რომლებიც სამშობლოს საკეთილდღეოდ იღწვიან და მათი სიყვარულით ანთებული გული ხალხის კეთილდღეობისათვის იფერფლება. ერთი ამათთაგანია გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების თვალსაჩინო მოღვაწე, ისტორიკოსი, პოპულარული ქართველი მწიგნობარი ზაქარია ჭიჭინაძე.

მან თავისი ცოდნა და ერუდიცია ქართველი ხალხის განათლების კეთილშობილურ საქმეს მოახმარა. მისი ბარაქიანი კალმით დაწერილია 250-მდე შრომა. მათ შორის ნახევარზე მეტი გამოქვეყნებულია და დღესაც არ დაუკარგავთ მეცნიერული ღირებულება. პირიქით, დრო-ჟამისაგან გაყვითლებულ მათ ფურცლებს ბევრჯერ გადახედავენ მადლიერი თაობები და გაეცნობიან ქართველი ერის წარსულს.

ზაქარია ეგნატეს ძე ჭიჭინაძე დაიბადა 1854 წელს თბილისში. ის იყო მეთხუთმეტე შვილი ღარიბი ხელოსნის ოჯახისა. მისი პირველი პედაგოგი იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე პეტრე უმიკაშვილი. იმ დროს ღარიბი ადამიანებისათვის წერა-კითხვის ცოდნაც დიდი სიმდიდრე იყო. დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ, ზაქარიას შეაწყვეტინეს სწავლა მამის ოჯახის უსახსრობის გამო. 13 წლის სწავლას მოწყვეტილ ბავშვისათვის სკოლად იქცა ბაზრები და მოედნები. იმდროინდელ ბოჰემური თბილისიდან კი მოისმოდა ნაირფეროვან ხალხთა უთავბოლო ღრეობა, ზურნა-ჭიანურისა და თარის გაუთავებელი კვნესა. ზაქარია უახლოვდება მუშა-ხელოსანთა წრეს, ეცნობა დაჩაგრულ ადამიანთა დუხჭირ ცხოვრებას. თვითონაც ებმება შრომაში: იწყებს მუშაობას დურგლის შეგირდად, მერე თამბაჭოს ქარხანაში და ბოლოს სასტუმროში ხელზე მოსამსახურედ.

მეფის თვითმპყრობელური წესწყობილებით ნაადრევად გულგატეხილი ზაქარია ჭიჭინაძისთვის ნათელი გახდა, რომ ხალხის ხსნის ერთ-ერთი საშუალება იყო სწავლა-განათლება. სწავლას მოწყურებული ზაქარია მუშაობას იწყებს საცენზურო კომიტეტში დაბალ მოხელედ, გატაცებით ეწაფება აკრძალულ ლიტერატურას. მისი ფართო განათლება იწყება წიგნთსაცავში მუშაობის პერიოდიდან. სერგეი მესხს ყურადღებიდან არ გამორჩენია ჭაბუკი, რომელსაც პირველმა გაუწოდა დახმარების ხელი. 1872 წლიდან „ივერიის“ ფურცლებზე პირველად გამოჩნდა ზაქარია ჭიჭინაძე „მთაწმინდელის“ ფსევდონიმით.

ზაქარია ჭიჭინაძის ბავშვობის დუხჭირი ცხოვრება ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ყველა ნიჭიერ, თანაც მტკიცე, ნებისყოფის ახალგაზრდას ძნელ პირობებშიც შეუძლია გაიკაფოს გზა.

„ჩემი თვალების გახელის დროს, — იგონებდა ზაქარია ჭიჭინაძე, — ვიყავი ძლიერ დაღონებული და გულიც დარდით მჭონდა სავსე, რომ ქართველებს ქართული წიგნი სულ არ გვქონდა, ვიყავით დატუქსულები. ქართული ენა იდევნებოდა. წიგნების გამრავლება და გამოცემაღა მიმაჩნდა ჩვენი ეროვნების აღდგენის მალამოდ და ამიტომ დღე და ღამე იმედით ვსულდგმულობდი“. იმ დროისათვის ერთადერთ ქართულ საკითხავ წიგნად ითვლებოდა ჟურნალი „ცისკარი“ და გაზეთი „დროება“. 1875 წლიდან ზაქარია ჭიჭინაძემ დაიწყო ქართული წიგნების გამოცემა, თვითონ იყო მათი ავტორი, ამწყობი, მბეჭდავი, ამკინძველი და მისი გამავრცელებელიც. მას თვითონვე გაჰქონდა კვირა დღეობით თბილისის მაშინდელ შუა ბაზარში თავისი წიგნები და აურცელებდა სავაჭროდ ჩამოსულ ყველა კუთხის ხალხში. წიგნებით აკიდებული მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, თან გზადაგზა კრეფდა ხალხური შემოქმედების ძვირფას ნიმუშებს და თავისი წვლილი შეჰქონდა ქართულ ფოლკლორისტიკაში. მისივე აღმოჩენილია ხუთასზე მეტი ქართული ხელნაწერი, მათ შორის რამდენიმე პერგამენტზე დაწერილი, ჯოხზე დახვეული და ტყავის ბუდეში ჩასმული. მას მრავალი ხელნაწერი გამოუქვეყნებია, გამოუცია ბევრი შივიწყებული ძვირფასი ძეგლი ჩვენი ძველი მწერლობისა. მანვე გამოსცა „ქართლის ცხოვრება“ რამდენიმე ტომად.

ზაქარია ჭიჭინაძეს მიმოწერა ჰქონდა რუსეთში მყოფ მეგობარ თანამემამულეებთან: ილია ოქრომჭედლიშვილთან, დავით ჩუბინიშვილთან, მარი ბროსესთან, ნიკო მართან და ალექსანდრე ხახანაშვილთან. არ არსებობდა ქართული კულტურის ისეთი დარგი, რომლითაც ზაქარია ჭიჭინაძე არ დაინტერესებულიყო, საქართველოში არ გამოსულა ჟურნალ-გაზეთი, რომელშიც მას არ ეთანამშრომლოს. დაგვიტოვა უამრავი ისტორიული, ბიოგრაფიული, ბიბლიოგრაფიული, ეთნოგრაფიული, სამეცნიერო-პოპულარული, სალიტერატურო და მრავალი სხვა ნაშრომი და წერილი. მანვე დაწერა და გამოსცა წიგნი ქართველ მაჰმადიანთა შესახებ. ზაქარიას წყალობითვე სამაჰმადიანო საქართველოში პირველად შეიჭრა ქართული წიგნი. მას ეკუთვნის წერილები ქართველ კათოლიკთა შესახებ, პირველი ისტორია ქართველ ისრაელებისა, ისტორია ქართველ გრიგორიანებისა, ისტორიული ნარკვევები აფხაზების, ოსებისა და ლაზების შესახებ. მის მადლიან კალამს ეკუთვნის დიდი შრომა — „ქართული მკურნალობის ისტორია“, ნარკვევები — „საქართველოში ვაჭრობა-მრეწველობის ისტორია“, მიმოხილვები ძველი ქართული ლიტერატურის, პოეზიის, თეატრისა და სხვა. ზაქარია ჭიჭინაძის მიერ დაწერილ შრომების თემატურ ნაირფეროვნების დასასრულს ბოლო არ უჩანს. ძნელია ყველა იმ ძვირფასი წიგნის დასათაურების ჩამოთვლა, რომელიც მისმა დაუღალავმა და ბარაქიანმა ხელმა შექმნა თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე. მან დაგვიტოვა ისტორია ქართული სტამბისა და ქართული გაზეთისა. მისმა მადლიანმა კალამმა დაწერა და პირველად ქართველ საზოგადოებას მიაწოდა ბროშურები ჰრუდონზე, ლუი ბლანზე, სენ-სიმონზე და ქართველ მუშა-ხელოსნების ცხოვრებაზე. დაუვიწყარია მისი როლი საქართველოს ბატონყმობის ფაქტიურ მასალათა გამოქვეყნების საქმეშიც.

ზაქარია ჭიჭინაძის მოღვაწეობის მდიდარი დიაპაზონი მარტო აქ ჩამოთვლილი მუშაობით არ განისაზღვრება. მისი სტუმართმოყვარე ოჯახი მუდამ სავსე იყო პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებით.

ზაქარია ჭიჭინაძის მდიდარი ბიბლიოთეკა წარმოადგენდა ერთგვარ ანდამატს, რომელიც იზიდავდა მგზნებარე ბოლშევიკების საუკეთესო პლეადას ჭაბუკ სოსო ჯუღაშვილთან ერთად და სადაც ხშირად იმართებოდა სჯა-ბაასი, მეფის თვითმპყრობელური ხელისუფლების დასამხობად და კაცობრიობის უკეთესი მერმისის შესაქმნელად.

ზაქარია ჭიჭინაძის უანგარო ღვაწლი ქართველი ერის წინაშე განუზომელია, მან საშვილიშვილო ამაგი დასდო ეროვნული კულტურის ყოველი დარგის განვითარებას.

1931 წლის 27 დეკემბერს, 77 წლის ასაკს მიღწეული ღვაწლმოსილი დიდი ქართველი მწიგნობარი სამუდამოდ მიიბარა ქართველ მოღვაწეთა წმინდა სავანემ — მთაწმინდის პანთეონმა.

ეთერ მაჭავარიანი

პაპაგო და მამაგო, დედაგო და ბებიაგო! ძვირთულად გაზრდილ თქვენს მონაგარს, ჩვენს პატარა თანამემამულეებს წაუკითხეთ ფაფუნა ფუტკრის ამბავი და შეეკითხეთ — სწორედ მოიქცა თუ არა ფაფუნა, როცა შინ დაბრუნება არჩია ყველაფერს?

— აბა, ყოჩაღად, ყოჩაღად!

— ბზზ... ბზზ... ბზზ...

სკის შესასვლელთან ერთმანეთს დაფრენას არ აცლიდნენ.

— აბა, ყოჩაღად, ყოჩაღად!

— აქეზებდა ოჯახის დარაჯი.

გაზაფხულის მზიანი დღე იდგა. მინდორი ფერადი ყვავილებით იყო მოფენილი.

სკის დერეფანზე ფაფუნა მძიმედ დაეშვა და დაფრენისას წაბორძიკა.

— გზა, გზა დაუთმეთ ფაფუნას! — გაისმა დარაჯის ხმა. — ეგეთი ღალიანი ჯერ არავინ მოსულა.

კართან თავმოყრილი ფუტკრები მაშინვე განზე გადგნენ, თვალები გააყოლეს მომავალ ფაფუნას. ფაფუნა მძიმედ მიაბიჯებდა, ყვავილების მტვერით სავსე გიდელები ტიჭორებივით ეკიდა. ჩაიარა და გაუღიმა მეგობრებს, მერე ფიჭაში ერთიმეორეზე ჩასცალა გიდელები.

დედა ფუტკარმა ფაფუნა შენიშნა და მისკენ გამოემართა.

—ჰო, რაო, ფაფუნა?!—მხარზე დაჰკრა ხელი.

—დიდებული დღეა, — მიუგო ფაფუნამ, — ამდენი... მარგალიტი ყვავილები!...

—ყოჩაღი ხარ ფაფუნა, გიყვარს ოჯახი!

ერთიმეორეზე სცლიდნენ გიდელებს მუშა ფუტკრები და ფიჭებს ავსებდნენ. სკა ყვავილებით იყო გაჟღენთილი.

ფაფუნა აღტაცებული გამოვიდა გარეთ.

— ყოჩაღი ხარ, ყოჩაღი!.. — გაუმეორა დედის სიტყვები დარაჯმა. „მართლაც ბარაქიანი დღეა დღეს“... ფაფუნამ გაიღიმა. მერე ფრთა ფრთას შემოჰკრა და მაღლა აიჭრა. ორიოდეჯერ ჰაერში ამოტრიალდა...

„რატომ უნდა იყოს მზე ესე შორს?“...

კიდევ უფრო მაღლა აიწია, მინდვრისთვის კი თვალი არ მოუშორებია. ყვავილები თანდათან დაპატარავდნენ და ბალახებში ჩაიმალნენ.

„ორი ამდენიც რომ ავფრინდე, მზე მაინც შორს იქნება“...

ფერადსახურავიანი სახლები მინის ნამსხვრევებივით ბზინავდნენ. მოშორებით, ტყის პირას, იისფერი ზღვა გაწოლილიყო და ნაპირს ელამუნებოდა.

„რა ლამაზი ყოფილა მიწა! უფრო მაღლიდან, ალბათ, ასჯერ უკეთესი იქნება... შრომა უნდა გიყვარდეს და დაგაფასებენ კიდეც. ამდენი ქება მთელ სკაში ყარგა ხანია არავის რგებია!“

ფაფუნა მერე ბზრიალ-ტრიალით დაეშვა, თვალები დახუჭა.

„ჰო, რა ყოფილა თვალდახუჭული ფრენა! მოიწევ დაბლა, ფოთოლი ხარ თითქოს!... თითქოს ფოთოლი ხარ!...“

ფაფუნამ თვალის გახელაც ვერ მოასწრო, პირდაპირ ბუხარში ჰკრა თავი და გულღმა დავარდა.

გაუვალი კედელი

ნამი და ფაფუნა წამოფრინდა. თავბრუდახვეული ხან ერთ კიდეს ეცა, ხან მეორეს. გასასვლელი არსად ჩანდა. უცებ თვალი მოჰკრა ყვავილებს. არც დაფიქრებულა, გაქანდა და ფანჯრის მინაზე ტკაცანი გაიდინა. თაებრუ დაეხვა.

ფანჯრიდან მოჩანდა ყველაფერი: ცაც, მზეც, ყვავილებიც...

ფაფუნამ კვლავ ახალა შუბლი მინას, მიხვდა, რომ მის წინ გაუვალი კიდელი იყო, ფიჭები დაუგრძელდა, ტანი დაუმძიმდა და მინაზე დაცურდა. რას იფიქრებდა, რომ ესე უბრალოდ დამთავრდებოდა ყვავილფერი! წამის წინ ყველაზე ბედნიერი იყო ქვეყნად, ეხლა კი... დაკარგა ოჯახი, შეკობრები! მორჩა, ყველაფერი გათავდა!

ფაფუნა ფანჯრის კუთხეში მიიყუჟა.

დაღამებამდე სკაში თუ არ დაბრუნდა, ვინ აპატიებს! მასაც ცუდკაცობით დღე მოელის, მოჰკლავენ. ეს არის სკის კანონი— საკმარისია, სახლში ერთი ღამეც არ გაათიო — ოჯახის სიძულვილს დაგაბრალებენ, მოღალატედ ჩაგთვლიან...

ფაფუნამ თვალები უფრო ფართოდ გაახილა და მინას მიაშტერდა. გარედან ფერმომკრთალი ყვავილები იმზირებოდნენ. მზე ჩადიოდა.

ფაფუნა ხედავდა, თუ როგორ ლურჯდებოდა თანდათან ფანჯარა, მერე ლილისფერი გახდა. მიხვდა, ხვალინდელი დღე მისთვის აღარ გათენდებოდა. ერთიორჯერ კიდევ ააფხაკურა ფეხები ჩაშავებულ მინაზე და ბიყუჩდა.

მარტოობა

გათენებული არ იყო, ვიღაცამ ფანჯარა რომ გამოაღო. ნახევრად მძინარე ფაფუნა გარეთ გაბზუილდა. ჯერ თვალს არ დაუჯერა, თავი სიზმარში ეგონა. მერე დაბუჟებული ტანი ძლივს აითრია და იქვე თუთის ტოტზე შემოჯდა. თვალზე ცრემლი მოადგა... თავისუფალი კი იყო, მაგრამ სკაში არ მიესვლებოდა.

ეჰ! გათავდა ყველაფერი! სამუდამოდ უნდა გამშვიდობოსო ოჯახს. დღეის ამას იქით ფაფუნა ვეღარ ეულად არის დარჩენილი!

მაყვლის ბარდებში ჩაფრინდა. ის იყო მთელი დღე-ღამის ნაშიმშილევი ყვავილს დააცხრა, რომ უცებ ტანმა უგრძნო და მაღლა აიხედა. თვალებდაკუსული ღაჟო პირდაპირ მისკენ მოჰქროდა. არც დაფიქრებულა, სწრაფად აფრინდა და ბარდებში ჩაემალა. ღაჟო მაყვლის ტოტზე აფართხალდა.

ფაფუნა გაიტრუნა. ხედავდა, თუ როგორ უკაწკაწებდა ნისკარტი ღაჟოს, ბარდებიდან ჩუმად გამოძვრა და სწრაფად გასცილდა იქაურობას.

„კიდევ კარგი, ბარდნარი და ძეძვნარი რომ იყო, თორემ!..“

უფრო ღონივრად მოიქნია ფრთები და აკაციებს გადაუქროლა. მინდორი გამოჩნდა, სამყურა ბალახების თეთრი და მარწყვისფერი ყვავილებით გადაპენტილი მინდორი.

— ფრრ!..

ხმაზე ფაფუნამ უკან მიიხედა. ფრთებმოწურული მოლაღური პირდაპირ კვალში ედგა. ფაფუნამ მოლაღურის დაღებული ნისკარტიც კი შენიშნა. ტყვიასავით გავარდა წინ. გაიგარდა მოლაღურიც, წინ ტრიალი მინდორი... ერთი ხე, ერთი ბუჩქი ეხლა სიცოცხლეს უდრის! ოფლმა დაასხა.

ფაფუნას მოეჩვენა, თითქოს მოლაღურის მოკაუჭებული ნისკარტი ფიჭებზე შეეხო. ქვასავით დაეშვა ძირს და სამყურა ბალახებში ნემსივით ჩაესო. დაცემა და განზე გახტომა ერთი იყო. მოლაღურიც იმავე ადგილს დააცხრა. ფაფუნა არ ინძრეოდა. არც მოლაღური იძვროდა. თვალებს აკაციებდა, ბალახებში აქა-იქ ნისკარტიც ჩაჰკრა.

ფაფუნამ სუნთქვა ლამის შეწყვიტა. მოლაღური უცებ თოფნაკრავივით ავარდა მაღლა. ზემოთ კრიგალივით გადაიშხუილა მომინომ.

ფაფუნას გულზე მოეშვა.

ელვის კუდი

ველამეგისას შიშმა შეიპყრო ევკალიპტების კენწეროებს მოჰკრა თვალი და იქით გაფრინდა. ტყეში სიბნელე ჩამოწვა. ფაფუნა ევკალიპტის ხმელ მერქანში შეძვრა და მოიკალათა. საშიში აღარაფერი ჰქონდა, შეეძლო მთელი ღამე უდარდელად ეძინა.

ერთხანს მიკიოტის შემზარავი კივილიც კი ისმოდა, მაგრამ შემდეგ ისიც მიწყდა, ტყე იდუმალმა სიჩუმემ მოიცვა...

„გრგვინ! გრგვინ!...“—დაიგრგვინა ჯერ ყრუდ. მერე ხმამ თანდათან იმატა და ტყეს თავზე გადაუარა. ცის დასაბამი ერთბაშად აენთო და ჩაქრა.

„გრგვინ!.. გრგვინ!..“

თითქოს ყველაფერი გაითანგა. ფოთოლი რომ ფოთოლია, ისიც არ ირხეოდა. მერე იელვა. ცა თითქოს გაიხლიჩა, ირმის რქასავით დაგრეხილი ცეცხლი ტყის თავზე გაწვა.

ფაფუნამ ეხლა უფრო მეტად იგრძნო მარტოობა. თვალებზე ცრემლი მოადგა. გრგვინვამ ისე გადაიგრიალა, თითქოს ცა მორებისაგან შეკრული ბოგირი იყო და ზედ დიდი კასრი დაადგორესო. წვიმის მსხვილი წვეთები ფოთლებზე აქა-იქ ატყლაშუნდა. მერე უხშირა და დაუშვა...

ხის ქერქში წყალმა ჩამოხეთქა. ფაფუნა დაიბნა. მეორე მხრიდანაც ჩამოხეთქა წყალმა და ტანზე გადაევლო. ფაფუნამ სული ძლივს მოითქვა. ეცადა გამოძრომას, მაგრამ დამძიმებული ქერქი ხეს მოწყდა და წყალში ჩავარდა.

ტყე ნაკადულებით და ჩანჩქერებით დაიღარა. ნაკადული ნაკადულს შეუერთდა... ფაფუნამ აფრენა სცადა, მაგრამ ფრთები ერთიანად სველი ჰქონდა და ვერ შეძლო. ექვსიოდე ფეხით ღონივრად მოეჯიდა ხის ქერქს, რომელიც უფრო მსუბუქად აიტაცა ნაკადულმა და დაბლობისაკენ გაატანა. ფაფუნამ იგრძნო, რომ თანდათან იძირებოდა. უცებ ხის ქერქი რაღაცას მიებარცხა და ადგილზე დაბზრიალდა. ფაფუნამ თავს ზემოთ ბუჩქის გადმოხრილი ტოტი შენიშნა. სწრაფად აიწია და წინა ფეხებით მოეჭიდა.

დაბლა ჩაიხედა. ქვეშ თქრიალით მიედინებოდა აბობოქრებული ჩანჩქერი. ფაფუნა მიეძალა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, მიეძალა და უკანა ფეხებიც მარწუხებივით შემოაჭდო ტოტს. შეისვენა. წვიმა სახეში სცემდა. ეცადა მალლიდან მოჭიდებოდა ტოტს. ძლივს აითრია ტანი და გადმობრუნდა. მერე სვენებსვენებით დაუყვა ბუჩქისაკენ.

წვიმამ იკლო...

მზესუმზირების სიმღერა

ზიანი დილა გათენდა. ბალახებზე, ფოთლებზე და ყვავილებზე წვიმის წვეთები მძივებივით ეკიდა. ღუოდა მიწა. ტყე მიწის სურნელით იყო გაჟღენთილი.

ფაფუნას სველი ფრთები ტანზე მიწებებოდა. ნელა გამოცოცდა ტყიდან. წინ მზესუმზირების მთელი ყანა გადაეშალა, ყვითელი გვირგვინით შემკული თავები მაღლა, რომ აეღერათ და პირდაპირ მზეს მისჩერებოდნენ. ფაფუნამ ამოიოხრა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, ძახილი შემოესმა და მოტრიალდა. ყველაზე დიდგვირგვინიანმა მზესუმზირამ გაუღიმა.

— დილა მშვიდობისა, ფაფუნა!

— დილა მშვიდობისა. — მიუგო ფაფუნამ.

— მოდი, ფაფუნა, შემაცოცდი, ტკბილ სიმღერას გიმღერებ, თაფლსაც გაგატან, არ გინდა?

— ნეტაი შენ! ვერა ხედავ, ძვლებამდე სველი ვარ?

— მოდი გაგაშრობ, ხომ იცი, რომ მთელი დღე მზეს უნდა ეუცქირო, მოდი!

ფაფუნამ წელი აითრია და სვენებ-სვენებით აუყვა ღეროს.

— იცი, ა ბაი, წუხანდელი ჩემი გასაჭირი.

— ვიცი, ფაფუნა, ვიცი! ფოთლებში ჩაიმალე, ნუ გეშინია, დაისვენე!

ფაფუნა ფოთლებში ჩაძვრა და გაილურსა.

„მზეო, მზეო, ცხრა-თვა-ლა“...

— დაიწყო სიმღერა დიდგვირგვინიანმა და ნიავს ტანი ააყოლა.

„ვის უ-ცი-ნი, ვი-სა“... აყვნენ დანარჩენებიც. სიმღერა მთელ ტყეს მოედო. ნიავზე ირწეოდნენ მზესუმზირები და მღეროდნენ.

ფაფუნას თვალები დაეხუჭა, აღარაფერზე არ ფიქრობდა... ნელ-ნელა მიცურავდა მზე დასავლეთისაკენ. ნელ-ნელა იხრებოდნენ მზისაკენ მზესუმზირებიც. უცებ ფაფუნას წივილი ჩაესმა, თვალები დაჭყიტა. ჭარისაგან აშლილი მზესუმზირები მთვრალებივით იქნევდნენ თავებს და მიწას ახლიდნენ. ვერც კი მოასწრო გონს მოსვლა, რომ ჭარმა ბუმბულივით აიტაცა. ფრთების გაშლა სცადა, ვერ შეძლო, წინააღმდეგობას აზრი არ ჰქონდა, ნებას მიჰყვა, ხმელი ფოთლების კორიანტელში გაეხვია. ჭარი უსტვენდა, ტყე დავარცხნილს ჰგავდა. ყველა ხეს ერთ მხარეს ჰქონდა ტოტები გაწვდილი.

ფაფუნამ წაქცეულ სკას შეავლო თვალი, ჰაერში ამოტრიალდა და სკასთან ახლოს ბუჩქებში ჩაეშვა.

წაქცეული სკის ირგვლივ უამრავი ფუტკარი ბზუოდა.

ფაფუნამ ბუჩქებიდან გამოიხედა. სკას წინა მხარე და დერეფანი ჩატეხოდა. იცნო გესლა ფუტკრების ოჯახი და შეეშინდა.

— აბა ჩქარა! გარეთ არავინ დარჩეს, თორემ დაიღუპება, ჭარი მატულობს, აბა ჩქარა! — გაისმოდა დედა ფუტკრის ბრძანება, ყველა სკისაკენ მიეშურებოდა.

ფაფუნა ბუჩქებიდან გამოძვრა.

„იქნებ ვერ მიცნონ და გადავრჩე“, — გაიფიქრა და სკაში შეძვრა.

გატეხილი სკა

უბედურებაა ჩვენს თავს! უნდა ვიდოწოთ რამე! — ისმოდა შეძახილები, მთელი სკა ბრიალებდა. ფაფუნა კუთხეში მიყუჟულიყო და თავი ფიჭაში ჩაერგო. სკაში თანდათან ჩამობნელდა.

— ფიჭები დასკდა, სკა თავზე დაგვენგრა, ერთი წვიმაც და უსახლკაროდ დავრჩებით! — ისმოდა ზუზუნი. — გესლიანების ოჯახი მუდამ მამაცი და უძლეველი იყო...

ფაფუნა მიხვდა, რომ ოჯახის დედა ლაპარაკობდა.

— ეგრეა, ეგრე! — დასჭექეს ერთხმად.

— თუ ეგრეა, ხვალვე დავესხმით თავს ნემსიწვერიძეების ოჯახს...

ნემსიწვერიძეების ხსენებაზე ფაფუნას ოფლმა დაასხა.

— დედა უნდა მოვუკლათ!..

ფაფუნა დაიბურა, აღარაფერი ესმოდა. თვალწინ წარმოუდგა ხვალინდელი სურათი: მოკლული დედა, ფრთებდაგლეჯილი ძმები, ამოწყვეტილი ოჯახი...

ფაფუნა ძაგძაგებდა.

არ მივიდეს შინ — ოჯახი დაიღუპა, მივიდეს და არ აპატიებენ, მოჰკლავენ.

ძალა მოიკრიბა, ძლივს მიცოცდა კარამდე და ღამის სიბნელეში გაუჩინარდა.

ჭარი ჩამდგარიყო.

ციცინათელები

სიბნელეში ვერაფერი დაინახა, ხან რას წამოედო და ხან რას, არ იცოდა საით გაფრენილიყო, უცებ ფიჭებში რაღაც აებლანდა, ფაფუნა ამოტრიალდა.

„სიბნელეში ძნელია გზის გაკვლევა. დაიღუპა ოჯახი!“

— მიშველეთ!.. — აღმოხდა განწირულის ხმა.

ტყეში სამარისებული სიჩუმე იდგა. ცაზე ვარსკვლავები ღიმღამებდნენ. სადღაც მიკიოტი კიოდა.

ციცინათელამ გაიელვა.

—კეთილო, ნუ ჩამივლი, მიშველე! — აღმოხდა ფაფუნას.

— რომელი ხარ? — აციმციმდა ციცინათელა.

— ფაფუნა ვარ, გზა ვერ გავიკვლიე. შინ თუ დროზე ვერ მივიტანე ამბავი, დაიღუპები, დედას მომიკლავენ.

— რაო, დედას მოგიკლავენო?! — სიმწრისაგან კიდევ უფრო აენთო ციცინათელა.

— ციცინათელებო! — დასჭექა მთელის ხმით, — ფაფუნა განსაცდელშია, გაუნათეთ გზა, თორემ დედას მოუკლავენ, გესმით?!

ამ შეძახილზე რაღაცნაირად აშრიალდა მთელი ტყე, მერე თითქოს ბალახებს ცეცხლი წაეკიდაო, მანდორი აციმციმდა.

— აბა, ჩემო ფაფუნა, გზა გაგინათეთ და იარე! — მხარი აჭკრა ციცინათელამ.

—გმადლობთ, ჩემო კარგო!— თავი დაუკრა ფაფუნამ და დღესავით განათებულ სივრცეში შეიჭრა.

ტყის თავზე შრიალით გადადიოდნენ ციცინათელები და მათ კორიანტელში შავი წერტილივით მოჩანდა ფაფუნა. ტყე ჰაღივით ციმციმებდა.

უცებ ციცინათელები დაფრთხნენ...

— ღამურები! ღამურები! თავს უშველეთ! — გაისმა ნაცნობი ციცინათელას ხმა. ფაფუნამ მოიხედა. ფრთებმოწურული ღამურები პირდაპირ კვალში ედგნენ. ციცინათელები მომოიფანტნენ.

ჭკრა და ჭკრა ფრთას ფრთა ფაფუნამ, წინ გაშლილ სივრცეში ისარივით გავარდა, მწკრივში ჩამდგარი ღამურებიც მიჰყვნენ კვალდაკვალ. — წრ! წრ! წრ! — აწრიალდნენ. ფაფუნას გააჟრჟოლა. მიხვდა საქმე ცუდად იყო. რომელიღაც ღამურა ეწვდა.

— დაბლა იფრინე დაბლა! — დაიძახა ციცინათელამ. ფაფუნა მყისვე დაეშვა. ღამურებიც ერთი წრიალ-ზრიალით მიჰყვნენ უკან.

თითქოს მოიმწყვდიეს კიდეც დიდ ცაცხვის ხესთან. ის იყო წინა ღამურას უნდა ჩაეყლაპა, რომ ფაფუნამ ღამურა უცებ გვანზე ისხლიტა და ფუღუროში ჰკრა თავი...

ფუღუროში ბნელოდა.

— ეჰ!.. — ამოიხორა ფაფუნამ.

— რომელი ხარ! — გაისმა

ფაფუნას შიშისაგან გული [illegible] გაუსკდა. სიბნელეში [illegible] ყვითელი საცრისოდენა [illegible] აბრიალდა. ფაფუნამ იც[illegible] კეთილი ბუ და გულზე მო[illegible]

— მე ვარ, ფაფუნა.

— ჰო, რა გაგიჭირდა, ფა[illegible]ნა!

—ამბავი მიმქონდა სკაში. ჭაზად [illegible]ურები გამომიდგნენ. დილამ[illegible] თუ ვერ მივაღწიე შინ, დე[illegible]ს მოშიკლავენ...

— რაღა კეთილი ბუ ვარ, თუ [illegible]საცდელის ჟამს არ გიშველე! [illegible] ფუღუროდან თავი გამოჰ[illegible]ო. მუგუზლებივით აბრიალდნენ [illegible]ისი საცრისოდენა თვალები. მე[illegible]ე თავი მაღლა ასწია და დას[illegible]ყვლა. ტყეში ზარივით გაისმა [illegible]ისი ხმა. — „კიო, კიო!“ — გა[illegible]მეორეს მთებმაც.

ღამურები დაფრთხნენ და მა[illegible]ლა აიჭრნენ. აფრენილ ღამუ[illegible]ებს ჰკიდა თუ არა თვალი ბუმ, ფრთების ფათქუნით ავარდა ჰაერში. ღამურებმა ვერც კი მო[illegible]ასწრეს მოხედვა, რომ შხუილით შეიჭრა მათ გუნდში... ატყდა წივილ-წივილი. პანტაპუნტით ცვივოდნენ ძირს ღამურები.

— ესეც ესე! — თქვა ბუმ, როცა უკანასკნელი ღამურაც გაბდღვნა და ფულუროს მიაშურა. — ეხლა საშიში არაფერი გაქვს, ჩემო ფაფუნა, შემაჭექ მხარზე და სწრაფად გადაგაფრენ ამ ტყეს.

— გმადლობთ, კეთილო ბუ!

ცხრათვალა მზე

ეი ჩემი სახლი! — შესძახა ფაფუნამ, როცა დაბლა [illegible]ერად[illegible]სახურავიანი სკა დაინა[illegible].

მამლებმა იყივლეს.

—სადაცაა გათენდება, —თქვა ბუმ, — უნდა ვიჩქარო.

— გმადლობთ, კეთილო ბუ, გმადლობთ! — ფაფუნა ბუს [illegible]ერთიდან აფრინდა, მადლობის [illegible]ნიშნად სამჯერ შემოეველო თავ[illegible]ზე და სკას მიაშურა.

ცის აღმოსავლეთი გაიცრიცა, [illegible]ისფერი დაიდო. ფაფუნა შე[illegible]სვლელთან სახურავიდან ჩამო[illegible]ცდა, მიხურულ კარს მიაყუ[illegible]ადა. სკა ბობოქრობდა:

— ფაფუნა მოღალატეა!

— თაფლი გაუტკბა, ოჯახი [illegible]ავიწყდა!

—მოღალატე დაისჯება!—ფა[illegible]ფუნამ იცნო დედის ხმა და [illegible]ფლმა დაასხა.

— ფაფუნას უყვარდა ოჯახი. [illegible]ს, ალბათ, რაღაც შეემთხვა, — მოისმა ვიღაცის ხმა. ფაფუ[illegible]ნას თვალებზე ცრემლი მოადგა. [illegible]ერწყვი გადაყლაპა.

— სულ ერთია! — ფაფუნა [illegible]ახვდა, რომ ეს დედის გადამწ[illegible]ყეტი სიტყვა იყო.

— გამიღეთ კარი!

—როშელი ხარ!—მოისმა შიგ[illegible]ნიდან.

— ფაფუნა ვარ, გააღეთ კა[illegible]რი!

— ფაფუნა?!

კარი ჭრიალით გაიღო და ფა[illegible]ფუნა სკაში შევიდა.

— აი, ახლა ვარ, რაც გინდათ, [illegible]ყავით! — თქვა ისე, რომ თა[illegible]ი ძირს არ დაუხრია. სიჩუმე [illegible]ამოვარდა.

— სად იფრინა და რა ქნა ფაფუნამ? — თვალებში ჩახედა დედამ.

— ფაფუნამ ორი დღე და ღა[illegible]მე ქარსა და წვიმაში იფრინა. ას[illegible]ერ ჩახედა სიკვდილს თვა[illegible]ებში, სანამ აქ მოაღწევდა.

— რისთვის მოიჩქაროდა აქეთ?

— ამბავი მოჰქონდა. ამ დილით გესლიანები ჩვენ სკაზე აპირებენო თავდასხმას.

— სტყუის, — დაიძახა ვიღაცამ, — სტყუის! დანაშაული უნდა გამოისყიდოს.

— სწორია! — გაისმა ერთობლივი შეძახილი.

—მე არასოდეს მითქვამს ტყუილი. უმჯობესია იჩქაროთ, ემზადოთ საომრად!

— ჩასვით დილეგში! — ბრძანა დედამ. — თუ ცრუობს, მერეც მოვასწრებთ მაგის დასჯას!

სკა აზრიალდა. შეიქმნა მითქმა-მოთქმა. დარაჯმა ფუტკრებმა ფაფუნა დიდ ფიჭაში ჩასვეს და ამოსასვლელი სანთლით გადაუმსეს.

— რას იტყვი, წინასწარმეტყველო? — მიმართა დედამ სკის წინასწარმეტყველს.

— ტანი რალაც ცუდს მიგრძნობს ოჯახის მეთაურო.

— მზადყოფნით არაფერი დაშავდება, — თქვა მებუკეთეუხუცესმა.

— აბა, მოიცრიშე ფუტკრები ბარცხნივ! — ბრძანა დედამ. მოიცრიშე ფუტკრები მყისვე მარცხნივ გადგნენ. — ფრთოსნები კი მარჯვნივ! მზვერავები საფრენთან!

ფუტკრები წამით აირივნენ, მერე კი ბრძანებისამებრ დაეწყვნენ.

— გაიგეთ? — განაგრძო დედამ. — პირველად ფრთოსნები გავლენ საბრძოლველად. ამით მტრის მოიცრიშეებს შევარყევთ. შემდეგ მეწინავენი ალყაში მოიმწყვდევენ მტერს და მაღლიდან დაეხეხმიან გუნდ-გუნდად. გახსოვდეთ, ბრძოლა სკიდან მოშორებით აწარმოეთ და შეძლებისამებრ დაბლა, რადგან აქ თქვენთვის ყოველი ხე, ყოველი ბუჩქი ნაცნობია, საფრად გამოგადგებათ. მებუკეთეუხუცესო, სკაში წესრიგი თქვენ დაიცავით.

მებუკეთეუხუცესმა ხმა ჩაიბოზა:

— ასი უმამაცესი ფუტკარი მახათაძეები დაიცავთ დედას! სკიდან გამოსვლა გეკრძალებათ. ებრძოლეთ მხოლოდ მომხდურებს. მზვერავებო, შეუდექით საქმეს!

ოთხივე მხარეს ზედიზედ გაფრინდნენ მზვერავი ფუტკრები. სკაში ერთი ზრიალი შეიქმნა. იწყეს ხორთუმების ალესვა, ფრთების მოსინჯვა. აჭრელებული მზვერავები მოაწყდნენ სკას.

— მოდიან! მოდიან!

— აბა, — ხმა აიმაღლა მებუკეთეუხუცესმა, — წინ ოჯახის დასაცავად! — სკიდან ერთმანეთს გასვლას არ აცლიდნენ... გამოჩნდა გესლიანთა მთელი ლაშქარი. ისინი ჩუმად, უხმაუროდ მოფრინავდნენ. ის იყო ძეძვნარს გადმოუფრინეს, რომ ფაროსანი ფუტკრები პირდაპირ ეკვეთნენ.

გაჩაღდა სისხლისმღვრელი ომი. გესლიანები მთელის ძალით უტევდნენ. გაისმოდა ფაროსანთა საიერიშო ყიჟინა. ჰაერში ბუღი იდგა. მტვერივით ცვიოდნენ ფრთებდაგლეჯილი და განგმირული ფუტკრები. მოიერიშეებმაც სწრაფად შემოარტყეს ალყა. შეიქმნა ერთი ორომტრიალი.

გულმოვარდნილი შიკრიკები სკასთან მოცვივდნენ.

— ოჯახის მეთაურო, მებუკეთეუხუცესი დახმარებას ითხოვს!

— ორმოცდაათი მახათაძე ბრძოლის ველზე! — ბრძანა დედამ. მცველთა რაზმი განაბევრდა.

შხუილით შეიჭრნენ ჰაერში მახათაძეები.

დედა ფუტკარი სკაში ბოლთას სცემდა. არ იცოდა, რითი დამთავრდებოდა ბრძოლა. მცველი ფუტკრები გაფაციცებით დევნებდნენ თვალყურს დედის თითოეულ მოძრაობას.

ბრძოლის ხმა თანდათან უახლოვდებოდა სკას.

— ჩვენები უკან იხევენ, — თქვა დედამ.

— ჰაიტ, დედასა! — გაცხარდნენ მცველი მახათაძეები. დედამ მცველებს გადახედა.

— ნახევარიც საკმარისი იქნება ჩემს დასაცავად! — თქვა მან.

კიდევ ოცდახუთი გაფრინდა ბრძოლის ველზე, შემდეგ კიდევ ნახევარი, კიდევ იმის ნახევარი და ეხლა დედა ფუტკარს ექვსიოდე მახათაძე იცავდა.

გესლიანები უკვე სკისკენ მოიწევდნენ. გაათხრებით იგერიებდენ მცველები.

— გამიშვით, ესე ლაჩრულად ნუ ამომხდით სულს, გამიშვით! გაისმა ფაფუნას ყიჟინა.

— გაუშვით, — თქვა დედამ. ფიჭას თავი მოხსნეს. ფაფუნა გიჟივით ამოვარდა ფიჭიდან, ფრთები ააფათქუნა.

— დედას მიხედეთ! — გასძახა მცველებს და თვითონ კარში ჩადგა.

სკას მთელი ძალით ეკვეთნენ გესლიანები. ფაფუნა ციბრუტივით დატრიალდა, კართან ფუტკრების ზვინი დაყარა. იქნევდა და იქნევდა თავის ორლესულს, მაგრამ გესლიანა ფუტკრები მაინც ჯიუტად მოიწევდნენ.

— ფაფუნა, მარცხნივ!

ფაფუნა მარცხნივ ეძგერა.

— ფაფუნა მარჯვნივ!..

ფაფუნამ მარჯვნივ დაჰკრა. ერთმა ფუტკარმაც კი ვერ შემოჰყო სკაში თავი.

ის იყო ხმაურზე ფაფუნამ უკან მოიხედა, გესლიანმა მოიერიშემ ზედ მხარზე აძგერა მახვილი. ფაფუნა შებარბაცდა.

— დაიჭრა! — დაიყვირა ვიღაცამ. ფაფუნამ კართან ჩაიჩოქა. მიწყდა კართან ყიჟინა და ბრძოლის ველმა ეხლა სკაში გადაინაცვლა. შიკრიკი ფუტკრები შემოცვივდნენ.

— გაიქცნენ! გაიქცნენ! გავიმარჯვეთ! — გაისმა ხმები. ფაფუნამ წამოდგომა სცადა. აჭეთიქიდან მხარში შეუდგნენ.

— გამახედეთ, — ფაფუნა გაახედეს.

შორიდან კრიმანჭული მოისმოდა. გამარჯვებული ფუტკრები გუნდ-გუნდად მოფრინავდნენ სკისაკენ და სიხარულის რიტმზე ერთნაირად შლიდნენ ფრთებს.

— ჩემო კარგებო! — გაისმა დედის ხმა, როცა ყველანი სკაში შემოფრინდნენ. — გილოცავთ გამარჯვებას, ოჯახის გადარჩენას!

— ვაშა! — გაისმა ერთხმად.

— აი ფაფუნაც. — თქვა დედამ და ყველანი ფაფუნასაკენ გაახედა.—დაჭრილია. დოეს მან თავი ისახელა ბრძოლაში. მართალია, სკის კანონი დაირღვა, მაგრამ ოჯახი დაფუძვას გადაარჩინა. დავ, იყოს ჩვენი სკის გმირი! გაუმარჯოს ფაფუნას!

დედის სიტყვები სწრაფად აიტაცეს ფუტკრებმა.

— დიდება ფაფუნას! — გაისმა ყოველი მხრიდან.

— დიდება ფაფუნას!

— გაუმარჯოს ფაფუნას!

სკა ზანზარებდა. გარეთ კი კვლავ ციაგებდა ათასნაირი ფერის ყვავილი, სამყურებით გადაპენტილი ხასხასა მოლი და ცხრათვალა მზე.



ვაჟკაცობა



ტრადიციად დამკვიდრდა: აგვისტოს მეორე შაბათს, როგორც კი არაგვის ხეობაში ინათებს, ყინვალიდან ჩარგლამდე უწყვეტ ნაკადად მიემართება ავტომანქანების ჭარავანი, ლამის მთელი საქართველო მიემგზავრებაო ხახალხო ზეიმზე, რათა ერთხელ კიდევ პატივი დასდოს უკვდავი მგოსნის წათელ ხსოვნას.

არც წლევანდელი აგვისტოს მეორე შაბათი იყო გამონაკლისი — ჩარგალს ეწვიენ ცნობილი ქართველი მწერლები, სტუმრები მოსკოვიდან, ბელორუსიიდან, დედაქალაქიდან, მეზობელი რაიონებიდან. ვაჟას პოეზიის მოყვარულთა შორის იყვნენ ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მინისტრები, რესპუბლიკის საწარმოებისა და სამეცნიერო დაწესებულებების, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები.

ვაჟას მშობლიურმა ჩარგალმა, გულითადად უმასპინძლა მგოსნის ხადიდებლად მოსულ ხალხს.

პირველი შასპინძელი ვაჟას შვილი ვახტანგ რაზიკაშვილი იყო. ხახეგაღიმებული გვაუწყებდა იგი, რომ ყოველ შაბათ-კვირას ვაჟას ეზოში უფრო მეტი ხალხი იყრის თავს, ვიდრე უწინ ფშაველების დღესასწაულზე აფხუშობაზე; ყოველდღიური ეს სტუმრობა ვაჟას ხახლმუზეუმში, ყოველწლიურად „ვაჟობაზე“ ხალხის ეს მოზღვავება ჩარგალში, მე მიმაჩნია ქართული პოეზიის ზეიმად და მის უკვდავებად, იმ პოეზიის უკვდავებად, რომელსაც ხალხი კვებავს, ხალხი უფრთხილდება და, რომელსაც ვაჟამ ხელთუპყარი ძეგლი აუგოო.

ხალხი სულგანაბული უსმენდა ვახტანგის ნაამბობს: — ვაჟას ქობში ისე მოწიწებით შემოაბიჯებენ ხოლმე, თითქოს სახატეში შემოდიოდენ, ბევრისათვის გაოცებას და აღტაცებასთან ერთად, თვალზე ცრემლიც შემოგნევია. ინტერესებთ მამაჩემის ცხოვრების ყველა წვრილმანი, ვერ წარმოუდგენიათ, რომ ვაჟა ჩვეულებრივი გლეხკაცური ადათით ცხოვრობდა, ხშირად პურჩაყრილი წაჭით ირჩენდა თავს, ფეხშიშველიც დაიარებოდა ზოგჯერ... თითქმის ყოველდღე ვესაუბრები მამაჩემზე სხვადასხვა ასაკისა და ეროვნების ადამიანებს, ეს საუბარი უფრო მაახლოებს ბავშვობის დღეებთან, რაც ხანი გადის და ასაკი მეძალება, მით უფრო ვუახლოვდები ბავშვობის ოქროს ხანას. აი, ხახლში ვარ ჩემს მშობლებთან და და-ძმებთან, დედა ზღაპარს გვიყვება, ხან ტყეში ვარ საქონელთან, რომელიც მეკარგება და მერე კი ისევ ვპოულობ ოჯახის მარჩენალ ძროხებს; ბევრჯერ აგიზგიზებული ბუხარი გაიელვებს ხოლმე თვალწინ, ხან კი თავის „ნიკორზე“ და „ცეცხლაზე“ ამხედრებული მამაჩემი წარმომიდგება ფშავის ხიფათიან ბილიკებზე.

მოგონებები კვლავ ვაჟას უტრიალებენ... ფშაველები ჩამომსხდარან, ღვინოს მიირთმევენ; ხასშელი რომ მოეძალებათ, ხმაურს ასტეხენ, თავის ქებას მოჰყვებიან... მაგონდება აფხუშობა, მამაჩემის საჭაროს კარზე ჭდომა, თავის მეზობლებთან — ტიღუნა ზურაბაშვილთან და ფოცხვერა ბაჩიაშვილთან — დროსტარება, მათი დარბაისლური სიტყვა-საუბარი.

ვახტანგთან საუბრის შემდეგ ხალხი ქვემოთ, უზარმაზარი ხის ქვეშ შეკრებფდა, სადაც ფოთოლთა შორის ვაჟას პორტრეტია შეფარებული, თითქოს უფრთხილდებიან — მზემ არ შეაწუხოსო. დღის ორ საათზე დაიწყო მიტინგი, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა გრიგოლ აბაშიძემ, აღნიშნა ვაჟას შემოქმედების უკვდავება, მგოსნის სახელი დიდი ხანია გასცდა საქართველოს ფარგლებს და აღტაცებაში მოჰყავს, როგორც საბჭოთა ქვეყნის, ისე უცხოელი მილიონობით მკითხველი.

სიტყვა ეძლევა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანს სერგი ჭილაიას. იგი შთაგონებით ლაპარაკობს ვაჟას გენიალურ შემოქმედებაზე, მის როლზე ქართული ლიტერატურის განვითარებაში.

საბჭოთა მკითხველთა შორის ვაჟას დიდ პოპულარობაზე ილაპარაკეს ქართველი მწერლების სტუმრებმა — საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა, ეურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ მთავარმა რედაქტორმა სერგეი ბარუზდინმა და ბელორუსმა მწერალმა ევგენი კორშუკოვმა.

ლაპარაკობს პოეტი ალექსანდრე გომიაშვილი. იგი იხსენებს თავის პირველ სტუმრობას ჩარგალში. ვაჟას გარდაცვალების 15 წლის შემდეგ, როცა ვაჟას ქვრივმა თამარმა ის და მისი შეგობარი ვაჟას ხელით დანთებული ცეცხლით გაათბო, ცეცხლით, რომელსაც თამარი სათუთად უფრთხილდებოდა და ნაცარში ინახავდა... დღეს კი ვაჟას ანთებული ცეცხლი მთელ მსოფლიოს მოედო და ათბობს პოეზიის უველა ჭეშმარიტ მოყვარულს...

ვაჟასადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს ქართველმა პოეტებმა ალექო შენგელაიამ, ნოდარ გურეშიძემ, იოსებ ნონეშვილმა, რუსთაველის პოეზიის მოყვარულთა სახელით სიტყვით გამოვიდა და ლექსი წაიკითხა პოეტმა დავით მშვილდურმა.

თავისი დიდი წინაპრისადმი მიძღვნილი გულწრფელი ლექსები წაიკითხეს მასწავლებელმა ივანე ქართველიშვილმა, ვაჟას შვილიშვილმა ალექსი რაზიკაშვილმა, ბაჩანას შვილმა პავლე რაზიკაშვილმა, არაგვისპირის საბჭოთა მეურნეობის მუშამ ვალიკო ხუცურაულმა, სახალხო მთქმელებმა გიორგი მარცვალაშვილმა და ნიკო ბულალაურმა.

დასასრულ გრიგოლ აბაშიძემ გულთბილი მადლობა გადაუხადა დუშეთის რაიონის ხელმძღვანელობას შესანიშნავი დღესასწაულის — ვაჟობას დამკვიდრებისათვის.

გაიმართა ხევსურული დღეი...

სახალხო დღეობა ვაჟობა გვიან ღამემდე არ შეწყვეტილა.

...მზე მიიწურა, ფშავის ცაზე ვარსკვლავები დასხდნენ, ამოცურდა ღამის გუშაგიც. ღამის სიჩუმე გამეფდა ჩარგლის მთებში, არაგვისა და ჩარგლულას ხმაური კი მაინც ეფინებოდა იმ მუუდროებას. შთაბეჭდილებებით დახუნძლული ვბრუნდებოდი და ვფიქრობდი: ვაჟას შემოქმედება ისევე უკვდავია, როგორც ფშავ-ხევსურეთის ცადაზიდული მთები, ისევე უსასრულოა სივრცეში, დროში, როგორც სამყარო.

აბიგო თომაძე,

ჩარგალი. აგვისტო.

საქართველოს უცხოელი მეგობრები



სურათზე: როზემარია შუდერი და აკაკი გელოვანი
არსენ ნიჟარაძის ფოტო

როზემარია შუდერი

1967 წელს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ დასტამბა გამოჩენილი გერმანელი მწერალი ქალის როზემარია შუდერის ორტომიანი ისტორიული რომანი „მიჯაჭვული ტიტანი“ (მიქელანჯელოს ცხოვრება). წიგნს ვრცელი შესავალი წერილი დაურთო მთარგმნელმა აკაკი გელოვანმა — ხელხვავიანმა მთარგმნელმა, ასობით ეპიგრამისა და სატირული ლექსის თუ მოთხრობის ავტორმა, რომლის ნაამაგარი ბიოგრაფიულ რომანებთან, სტატიებთან, ერთად მკითხველის სიყვარულით სარგებლობს. აკაკი გელოვანის დამსახურებაა ისიც, რომ ნაყოფიერი მთარგმნელობითი მუშაობის შედეგად საქართველოს მრავალი მეგობარი შესძინა; ერთი ამ მეგობართაგანია როზემარია შუდერიც.

„მიჯაჭვული ტიტანის“ თარგმნის შემდეგ ამ ფაქტით აღფრთოვანებული ავტორი აკაკი გელოვანს სწერდა: „სიხარული და განცვიფრება მოგვიტანა თქვენმა წერილმა. სავსებით მართალი ხართ: თქვენ აღმოჩნდით პირველი ადამიანი, რომელმაც ჩემი „მიჯაჭვული ტიტანი“ სხვა ენაზე თარგმნა, და ბუნებრივია, ჩემთვის განსაკუთრებული პატივია იმის შეგნება, რომ ჩემი ტიტანი მიქელანჯელო უკვე თბილისის მიწაზე დაბიჯებს. ძალიან მინდა გამაგებინოთ, როგორ შეხვდა ამ წიგნს ქართველი მკითხველი...“

ამ კითხვაზე პასუხი შუდერმა თვით საქართველოში მიიღო...

იენელი როზემარია შუდერი ამჟამად 44 წლისაა, ცხოვრობს დემოკრატიულ ბერლინში (თავის მეუღლესთან რუდოლფ ბიარშთან ერთად, რომელიც ავრეთვე ცნობილი მწერალია). ორჯერ იმოგზაურა იტალიაში. მისი პირველი დიდი ისტორიული რომანი — „ნაუმბერგელი ერეტიკოსი“, 1955 წელს გამოქვეყნდა. ამას მოჰყვა „ჯადოქრის შვილი“ და „ეშმაკის წისქვილში“ — ღრმააზროვანი ისტორიული რომანები კეპლერის ცხოვრებაზე და მრავალი სხვა ნაწარმოები, რომელთა შორის გამოირჩევიან რომანები მიქელანჯელოზე, მიუნსტერელ კომუნარებზე... 1958 წელს შუდერმა ჰაინრიხ მანის პრემია მიიღო.

„მიჯაჭვული ტიტანის“ გამოსვლა გახდა სამაბი შუდერის ნაცნობობისა საქართველოსთან და მისი ჩამოსვლისა თბილისში ქმრის თანხლებით. აქ ის შეხვდა ქართველ მწერლებს, იმოგზაურა კახეთში, გორში, ობის აკვანში“, როგორც მიხეილის სკოლაში უსწავლებიათ, ავსტრ-ლიელ მწერლებთან ერთად ცოლ-ქმარი შეხვდა გამარჯვების დღესასწაულს — 9 მაისს, შუდერი მოხიბლულა არა მარტო ქართველთა სიუხვითა და სტუმართმოყვარეობით, არამედ მათი სილამაზით, სიდარბაისლით, მანდილოსანთა გამორჩეული სინარნარით, და იმით, რომ კახეთში სავსე სუფრასთან მან მოისმინა შესანიშნავი სიმღერა „ტურფავ, ტურფავ,“ რომლის სიტყვების ავტორიცაა ჰაინრიხ ჰაინე.

შემდეგ ისევ თბილისი... რომელიდაც ფრანგ პოეტს უთქვამს — თბილისი გადმობრუნებული ვარსკვლავიანი ცა არიო. „ჭემმა ქმარმა რუდოლფმა ეს გამოთქმა შეასწორა: „აქ არის ვარსკვლავიანი ცა, დედამიწაზე“, — ხუმრობით წერს რომანისტი ქალი, აქაც და ცალკე წერილებშიც, რომლებიც მთარგმნელმა თავაზიანად გადაცნო, შუდერი აღტაცებულია გორის ციხის გრანდიოზული ნაგებობით, მცხეთის ჯვარით — ძველი ქართული ხუროთმოძღვრების განუმეორებელი ძეგლით, მამულა შვილის ბაღით...

„იუმორით სხივმოსილი“... ამ უკანასკნელ თავში შუდერი მკითხველებს მოუთხრობს: „რამდენიმე დღით გვიან შევხვდი ჩემს მთარგმნელსა და მეგობარს აკაკი გელოვანს, რომელიც ის იყო ჩამოვიდა სვანეთის მთებიდან. მას ვუმადლი საქართველოში ჩამოსვლას. ისაა ჩემი მასპინძელი, ნამდვილი კოლეგა, მწერალი რომელმაც შექმნა ბიოგრაფიული რომანები ბრუნოზე, შოპენზე და ბარათაშვილზე. მოკრძალებული კაცი და უზადო სტუმართმოყვარე შემოკმედი სუფრაზედაც გვიხიბლავდა იმ ნატიფი იუმორის გრძნობით, რითაც ჯერ კიდევ ბერად წერილებში გავიცანით. კაცი, რომელიც თავის დიდ ცოდნას გერმახული და ქართული კულტურის მეგობრობის საქმეს ახმარს და მოგვაგონებს რუსთაველის სიტყვებს: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა, დაკარგულია...“

გერმანიაში დაბრუნებული შუდერი ხშირად სწერს თავის ქართველ მეგობარს, უგზავნის თავის ახალ წიგნებს და მისივე სახელით მახარებლობს ყოველ ქართველს, რომელსაც კი ხვდება ბერლინსა და იენაში. ამისი მოწმეა ჩვენი ცნობილი გერმანისტი ნელი ამაშუკელი, რომელსაც შუდერი თავის სტატიაში „მფარველ ანგელოზს“ უწოდებს.

შუდერიც საქართველოს უანგარო მეგობარია და იმედი გვაქვს აგვისრულებს დაპირებას, რომ კვლავ ჩამოვა და უფრო ვრცლად აღწერს ქვეყანას, რომლის შესახებ წერასაც, როგორც თვითონ თქვა „ერთი ნახვით ვერ გაბედავს“.

მაყვალა ოქროპირიძე

ქართველი სტუდენტები გოეთეს სამშობლოში

წერილი იენიდან

არც ისე დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც დაიდო ხელშეკრულება იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის. ამ ხელშეკრულების მთავარი მიზანია გერმანელი და ქართველი ხალხის მეგობრული ურთიერთობის გაღრმავება, განმტკიცება.

გავიდა ხანი და დამეკობრებულმა უნივერსიტეტებმა დაიწყეს მეცნიერთა გაცვლა-გამოცვლა. საქართველოდან წარგზავნილი მეცნიერ-მუშაკები დიდის გულისყურით ეკიდებოდნენ გერმანელი ხალხის კულტურას, მათს ცხოვრებას. საპასუხო მოწვევით საქართველოს გერმანელი მეცნიერები ესტუმრნენ. ისინი დიდად დაინტერესდნენ ჩვენი სახელოვანი წარსულით, აწმყოთი და მომავლით.

იმართება შეხვედრები, აზრთა გაცვლა-გამოცვლა...
დადგა 1970 წელი...

ქართველ სტუდენტთა პირველი ჯგუფი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად...

ქართველი სტუდენტები ბერლინში ჩასვლისთანავე გაგვანაწილეს სხვადასხვა ქალაქში — ლაიპციგში, დრეზდენში, იენაში...

დაიწყო სემესტრი და ჩვენც შევუდექით სწავლას. ტყუილად არ უთქვამთ — ყოველი დასაწყისი ძნელიაო. ჩვენც გამონაკლისები როდი ვიყავით. მიუხედავად იმისა, რომ ენის მხრივ ყველანი საკმაოდ მომზადებულნი ვიყავით, მაინც გაგვიძნელდა. მაგრამ გავიდა დრო და თანდათან შევეჩვიეთ გარემოს.

შემდეგ წელს კი, ქართველ სტუდენტთა რიცხვი გაიზარდა. ჩვენს ჯგუფს ახალი ქართველი მეგობრები შეემატნენ.

იმისათვის, რომ უფრო კარგად გაცნობოდნენ გერმანელი მეგობრები საქართველოს და ქართველებს, ვაწყობდით შეხვედრებს, ლიტერატურულ საღამოებს, დიაპოზიტივების საშუალებით ვაცნობდით მათ ქართული კულტურის უკედავ ძეგლებს. ყოველივე ამით ისინი კიდევ უფრო დაინტერესდნენ და მოიხიბლნენ ჩვენი ერით, ჩვენი კულტურით. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, კერძოდ კი იენაში, შექმნილია ქართველოლოგთა ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობენ პროფესორი გერტრუდა ბეჩი და პაინც ფენრიხი (ამ უკანასკნელმა გასულ წელს აკადემიკოს აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ქართულ ენაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში).

...ერთ საღამოს სახლში მისვლისას კარებში წერილი დამხვდა, დასაწყისი ქართულად ეწერა, შემდეგ კი გერმანული ტექსტი მოსდევდა. მართალი გითხრათ, ძალიან გამიკვირდა, რადგანაც ამ წერილის ავტორს არ ვიცნობდი. ბოდოს (წერილის ავტორის სახელია), სურდა ქართული ენის შესწავლა და საჭიროებდა დახმარებას სახელმძღვანელოებით.

რამდენიმე დღის შემდეგ ერთმანეთს შევხვდით. ქართულად მომესალმა, რამდენიმე ქართული სიტყვა წარმოთქვა და გერმანულად დასძინა: ნუ მიწყენ, მეტი ქართული აღარ ვიცი.

ჩვენი საუბარი გვიანობამდე გაგრძელდა. ბევრი ვისაუბრეთ საქართველოზე, მის ადათ-წესებზე... შემდეგ კი მას ქართულ სახელმძღვანელოები ვაჩუქე.

იმ საღამოს კიდევ ერთი გერმანელი მეგობარი შევიძინე.

მართალია, ჩვენ ქართველი სტუდენტები, სხვადასხვა ქალაქებში ვსწავლობთ და ვცხოვრობთ, მაინც ვცდილობთ ერთმანეთთან ახლოს ვიყოთ. ხშირად ვხვდებით ერთმანეთს დღესასწაულებზე, თავისუფალ დროს.

დღეისათვის ზოგი მეორე კურსის სტუდენტია, ზოგი მესამე, ზოგიც ამ წელს დაადგება ცოდნის გზას... ერთი კი ყველას გვაერთიანებს—სამშობლოს წინაშე, ჩვენი დიადი საბჭოთის წინაშე, პასუხისმგებლობის გრძნობა ყველას ერთი გვაქვს და გვექნება.

მალხაზ რადიანი,
ქალაქ იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტი.

კარლო დანელია

საქართველო

მცხეთის ჯვარი ცად აჭრილა,
გორის ციხის ფუძე...
ნამდვილ ქართველს ამათგან შორს
გული როგორ უძლებს.
სვეტიცხოველის გაულეველა...
უკვდავება ერის,
რვაასი წლის მოშაირე
რუსთაველი მღერის.
გელათის თუ ბეთანიის
და ვარძიის ფრესკას,
დიდ თამარის სილამაზე
შეუნახავს დღესაც.
არ დაშრალა არმაზშიაც
უკვდავების წყარო,
საქართველო თვის სიძველით
და სიახლით ხარობს...
აქ ჰყონდდიდის ზურმუხტ თხემზე
ამაღლებულ მარტვილს,
ან შავი ზღვის მქუხარ ტალღებს,
რიწას, ვით თვალს ნატვრისს
ვაჟას ხარგალს და ილიას
მზიურ საგურამოს,
უშბას, შეინვარს ცა რომ ახვევს
ნისლის ლიბრედ სამოსს,
ან თბილისის ძველ გალავანს,
მთაწმინდას თუ კრწანისს,
თუ ქართველი ვეღარ ხედავს,
როგორღა სძლებს წამით...
დახატული ქალ-ვაჟები,
მოქარგული მიწა,
ძმობა, შრომა, ერთგულება
რომ დამკვიდრდა ფიცად.
დახუნძლული ვენახები,
ხორბლით სავსე ყანა,
ცხვარით სავსე ბალაღი...
ტკბილი იავნანა,
ეს ზღაპრული საქართველო,
ეს ედემის მხარე,
რომელ ქართველს არ ეზიდავს,
ვის არ გაახარებს!

მიხვიე მამუაშვილს

გულში სულ მზე ბდღვრიალებს,
განა მრუმე ბინდია —
ქუხს ყვავილთა სიმღერა,
დღენი მშვიდად მიდიან...
საუკუნის ტოლი ხარ,
ყვავილების მინდიავ!

ზღაპრულ ედემს ახუნებს
ყვავილების გარემო,
მზად ხარ, ვარდ-ყვავილებით
საქართველო ამშვენო.

დაგვატყვევა ფერთა ზღვის
ძოწმა, ლალმა, მარჯვნებმა...
კიდევ ას წელს იცოცხლე,
დაგელოცოს მარჯვენა!

გულში სულ მზე ბდღვრიალებს,
განა მრუმე ბინდია —
საუკუნე იცოცხლე,
ყვავილების მინდიავ!

სიმღერები არღვევენ საზღვრებს

ცხოველსში, მელიქიშვილისა და ლენინის ქუჩების შესაყარზე მაღალი, თეთრი შენობა დგას. შენობა სულ ახალია. ახლად გასაცქერის დიდი რუსთაველის გამზირს და ... და ლაზათს მატებს დედაქალაქს. აი აქ, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, დილიდან საღამომდე მუშაობენ ადამიანები, რომელთა გულმოდგინეობითაც იქმნება სიმღერები და ცეკვები, ახალი მუსიკალური ნაწერი და სიკისკასე ემატება ქართველი ხალხის საუკუნეების სიღრმეში შექმნილ ხალხურ შედევრებს. რომელებიც შემდეგ არღვევენ საზღვრებს, იწყებენ მოგზაურობას ქვეყნებსა და კონტინენტებზე, მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში მოლაპარაკე ადამიანებს აცნობენ მრავალსაუკუნოვან ქართულ ხელოვნებას, ქართულ მუსიკას.

ომის საშინელი შრომისა და ძიების შემდეგ მსოფლიოს წინაშე ისევ ადგა ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამფუძნებელი აკადემიური ანსამბლი. ანსამბლმა შეისისხლხორცა ქართველი ხალხის მიერ ასეულ წლების განმავლობაში შექმნილი დიდებული ცეკვები, დაამუშავა, დახვეწა და გააფორმა იგი. თავისი შემსრულებლების მაღალი ოსტატობით უაღრესად მახლობელი და ძვირფასი გახადა მაყურებლისათვის... ამიტომაც შემოიარა ტრიუმფალურად ანსამბლმა, და ვიცით — როდესაც ტაშს ჩვენს დიდებულ მოცეკვავეებს შორეულ ავსტრალიაში თუ ამერიკის კონტინენტზე, მხურვალე აფრიკაში თუ აზიაში, ისინი ესალმებიან ქართული ხელოვნების ... ქართული ცეკვის მარად უჭკნობ სილამაზეს.

საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ანსამბლის ამოცანაა შემოინახოს დიდებული ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები. ჩვენი ... ამ ამოცანას წარმატებით ართმევს თავს. ანსამბლის ... თავმოყრილნი არიან ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვების შესანიშნავი შემსრულებლები. მაყურებლის აღტაცებული უკრავს ტაშს დიდი ოსტატობით ნამღერ „ნადურს“. „მრავალჟამიერს“ და „ხასანბეგურს“, შესანიშნავ ქართულ ცეკვებს „საქორწინოს“. „ქალაშს“, „მთიულურს“ და სხვებს. ანსამბლის შემოქმედება ... აღტაცებით შეაფასეს საზღვარგარეთის არაერთ ქვეყანა...

... პროფესიულ დონეზე დგას საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, საქართველოს სახელმწიფო ... ფილარმონიის კამერული ორკესტრი, სახელმწიფო ... და კვარტეტი. მათი შესრულებით მუსიკის მოყვარულები ხშირად ისმენენ დიდი კლასიკოსების, აგრეთვე საბჭოთა ... ქართველი კომპოზიტორების ახალ ნაწარმოებებს, არა ერთი და ორი საკავშირო და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატები არიან ჩვენი შესანიშნავი შემსრულებლები, რომელთაგანაც მხოლოდ ზოგიერთის დასახელებაც კი საკმარისი იქნება. პიანისტები ელისო ... ძე და მარინე მდივანი, მეჩიოლინეები დეკა მარინე ... მანანა იაშვილები, ლიანა ისაკაძე...

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ენერგიას არ აშუშებს, რათა კიდევ უფრო აამაღლოს სიმფონიური და კამერული მუსიკის საშემსრულებლო დონე, რაც მარტო ჩვენი ეროვნული კულტურის ზრდაზე როდი მიუთითებს. ეს საშუალებას გვაძლევს აგრეთვე მთელი მსოფლიოს მუსიკის მოყვარულებს მივაწოდოთ ეროვნული გრძნობით, კოლორიტით, განცდით შესრულებული სიმფონიური და კამერული ნაწარმოებები, რომლებსაც დღეს ქმნიან ჩვენი მოწინავე კომპოზიტორები.

საქმეყნოდაა ცნობილი ქართული საბჭოთა ესტრადის ტრადიციები. ქართული საესტრადო სიმღერა, რომელსაც წარმატებით ქმნიან თანამედროვე ცნობილი კომპოზიტორები რევაზ ლადიძე, გიორგი ცაბაძე, შოთა მილორავა, არჩილ ... ძე, თამარ თევდორაძე და სხვები, დიდი ხანია გაცდა ჩვენი რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ფარგლებს და მთელი მსოფლიოს ესტრადის მოყვარულთა საერთო საკუთრება გახდა.

საქართველოს სახელმწიფო საესტრადო ორკესტრი „რერო“, ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლები „ორერა“, „დელო“, „ივერია“, „ციცინათელა“, „ლალე“ თავიანთი შესანიშნავი ინდივიდუალური შემსრულებლებით — ლილი გელიათი, ნანი ბრეგვაძით, გიული ჩოხელით, ვენერა მაისურაძით ჩვენი საესტრადო ხელოვნების დესპანები არიან მსოფლიოს ყველა კუთხეში.

„ორერა“ პრიმა! „ორერა“ — ყველაზე საუკეთესო!“, „ორერამ“ დაიპყრო ჩვენი გულები!“—ამგვარი სათაურებით იყო აჭრელებული ჟურნალ-გაზეთები, როცა „ორერა“ გამოდიოდა ბელბურნში და ჰავანაში, დელში და ლონდონში, მეხიკოსა და ბერლინში.

ცოტა ხნის წინათ მე თვითონ გახლდით მოწმე საესტრადო ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „ივერიის“ გასტროლებისა ეგვიპტის გაერთიანებულ რესპუბლიკაში. ყველაფერი, რაც იქ ხდებოდა, შეუძლებელია საგაზეთო წერილში გადმოიცეს. ეს იყო შორეულ მეგობართა უსაზღვრო აღტაცება, განუზომელი სიყვარული, შთაგონება და აღფრთოვანება. ყველგან, სადაც კი გამოდიოდა „ივერია“, სცენა ივსებოდა ვარდ-ყვავილებით, დარბაზი აღტაცებული შეძახილებით ქუხდა. კენიის გუბერნატორმა სსრ კავშირის ელჩისა და ანსამბლის ხელმძღვანელის სახელზე გამოგზავნილ ოფიციალურ წერილში სიტყვა-სიტყვით ჩაწერა — „ანსამბლ „ივერიის“ გასტროლებმა ხელი შეუწყობს მშვიდობის განმტკიცებას მსოფლიოში“. ანსამბლი სამშობლოში რომ მოდიოდა, ალექსანდრიის ნავსადგური გასაცილებლად მოსულმა ხალხმა აავსო. გემი დაიძრა. ზღვა ხალხის თავზე იმოდენა პლაკატი გაიშალა, რომ გემბანიდანაც თავისუფლად წაიკითხეთ — „ივერია“ — ისევ გელოდებით“.



დიდი სიყვარულით ხვდებიან ანსამბლ „დიელოს“, სადაც კი სტუმრად ჩავა. ანსამბლი უკვე მეორედ იყო თავისუფლებისათვის მებრძოლ აფრიკელ ხალხთა კონტინენტზე. „ციცინათელა“ იყო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში. ყველგან, სადაც კი გამოდიოდა ეს ლირიული, ქალ-ვაჟთა შესანიშნავი საესტრადო ოქტეტი, მსმენელთა აღფრთოვანებას იმსახურებდა.

დიდი სიყვარულით ხვდებიან მსოფლიოს ყველა კუთხეში ჩვენს შესანიშნავ საესტრადო მომღერალს სპოტის ფესტივალის ლაურეატს (I პრემია) გიული ჩოხელს, სსრ კავშირის, რუმინეთის, ბულგარეთის და უნგრეთის ფესტივალების ლაურეატს ვენერა მაისურაძეს, ცნობილ საესტრადო მომღერალსა და პოპულარულ კინომსახიობს ვახტანგ კიკაბიძეს.

ფილარმონიის სცენაზე გაეცნო ქართველი მაყურებელი პირველად დიდ ბერძენ მსახიობ ქალს, მშვიდობისა და საბერძნეთის თავისუფლებისათვის დაუცხრომელ მებრძოლს შეუდარებელ ასპასია პაპატანასიუს, დიდებულ მომღერლებს, ამერიკელებს პიტ სიგერსა და დინ რიდს, ამერიკის შეერთებული შტატების უაღრესად საინტერესო სიმფონიურ და კამერულ ორკესტრებს. წელს უკვე მეორედ გვესტუმრება ჩვენი სასახელო თანამემამულის ჯორჯ ბალანჩინის სამბალეტო დასი. ვინ მოსთვლის, რამდენი სახელოვანი უცხოელი მომღერალი მიიღო თბილისის მაყურებელმა თბილად, თბილისურად და კიდევ რამდენს მიიღებს მოჭავალში.

დიახ, სიმღერები არღვევენ საზღვრებს და ადამიანთა გულებს სითბოთი და სიხარულით ავსებენ... დაე, მარად იყვნენ სიმღერა, სითბო და სიყვარული, მშვიდობის ეს ჭეშმარიტი დესპანები!

აპოლონ ყიფიანი,

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.



სურათებზე: ზემოდან— ვოკალურ - ინსტრუმენტული ანსამბლი „ორერა“; საქართველოს სახელმწიფო სამხტრადო ორკესტრის „რეროს“ მოცეკვავე გოგონები.

გზა დიდი ბალეტისაკენ

ნათელა არობელიძე თბილისელია, აქ დაიბადა 1947 წელს, სამოქალაქო ავიაციის ინჟინრის ოჯახში. ნათელას ჰყავს სამი და, უფროსი — ეთერი ბალეტის მსახიობია, მარინე და ლამარა კი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები არიან.

ნათელამ ბალეტით გაითქვა სახელი, ამ რთულ და საინტერესო ხელოვნებას იგი ბავშვობიდანვე გაეცნო. მისი უფროსი და ეთერი მაშინ ქორეოგრაფიულ სასწავლებელში სწავლობდა, მას თავისი პატარა და ხშირად დაჰყავდა ვარჯიშზე. ბავშვი ისე გაიტაცა ცეკვამ, რომ სახლში დაბრუნებული, მარტო თუ უფროსების წინ ცდილობდა ილეთების გამეორებას, პუანტებზე შედგომას... და დაიბადა სიყვარული ბალეტისადმი, ამ სიყვარულმა კი იგი 1958 წელს მიიყვანა ქორეოგრაფიულ სასწავლებელში, ამჯერად უკვე როგორც მოსწავლე.

შორსმჭვრეტელმა და დაკვირვებულმა პედაგოგმა, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა ვახტანგ ჭაბუკიანმა ამ გრძელნაწევრებიან ლამაზ და ნაზ გოგონაში შეუცდომლად ამოიცნო მომავალი ნიჭიერი მოცეკვავე.

ნათელამ 1965 წელს დაამთავრა ქორეოგრაფიული სასწავლებელი და ამავე წელს იგი ჩარიცხეს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

მისი დიდი და პირველი პარტია სცენაზე დეზდემონა იყო კომპოზიტორ ალექსი მაჭავარიანის ბალეტში „ოტელო“. ბალეტი პარიზში დაიდგა — ნათელა მოსწონდათ და მოსწონთ არა მარტო ჩვენში, არამედ საფრანგეთის დედაქალაქის პრესამაც და ბალეტის მცოდნეებმაც შეაქეს ახალგაზრდა შემსრულებელი — მისი ჰაეროვანი, ლირიული და კდემამოსილებით გამსჭვალული დეზდემონა მაყურებელს მოეწონა.

საქვეყნოდ ცნობილია ჩაიკოვსკის ბალეტი „მძინარე მზეთუნახავი“. ამ ბალეტის მთავარი პარტია ავრორა შესრულებული აქვს ბევრ სახელოვან საბჭოთა და უცხოელ ბალერინას. უდიდესი გამძლეობა, სიმტკიცე, დახვეწილი ტექნიკა და არტისტიზმია საჭირო მსახიობისათვის, რომ დასძლიოს ეს რთული პარტია. და როდესაც ნათელას თეატრმა ავრორას როლის შესრულება მიანდო, თითოეული ჩვენთაგანი მღელვარებით მოველოდით თუ, როგორ გაართმევდა თავს ამ ერთობ საპასუხისმგებლო საქმეს ახალგაზრდა მოცეკვავე.

ნათელას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ეს რთული გამოცდა შესანიშნავად ჩააბარა...

ავრორას პარტიის შესრულების შემდეგ ვახტანგ ჭაბუკიანმა თქვა: „ყოჩაღი გოგონაა, ბალეტისათვის არის დაბადებული, კარგი მოცეკვავე დადგება“.

თბილისელებმა ნათელა მისი ხასიათისათვის უჩვეულო პარტიაშიც იხილეს. მან შეასრულა ნიკიას როლი მინკუსის ბალეტში — „ბაიადერა“. წინა ორ პარტიასთან შედარებით, რომლებიც ლირიკულ პარტიებად ითვლებიან, ნიკიას როლი უფრო დრამატულია და ტრაგიკული. არობელიძე-ნიკია არის თავდაჭერილი, სიყვარულის ძალა და ძლიერება გულში აქვს ჩახვეული. გამოირჩევა უჩვეულო სიმსუბუქით, დახვეწილობითა და სინაზით.

გადის დრო, ნათელა არობელიძეს ემატება სცენური ოსტატობა, ვარჯიშობს და ცეკვავს ისეთ სახელმოსვეჭილ, გამორჩენილ მსახიობების მხარდამხარ, როგორებიც არიან: ვახტანგ ჭაბუკიანი, ზურაბ კიკალეიშვილი, ვერა წიგნაძე...

ნიკიას პარტიის წარმატებით შესრულების შემდეგ მოულოდნელი აღარ იყო, როცა მოყვარულებმა იგი იხილა ჯავარას პარტიაში გულბათ თორაძის ბალეტში „გორდა“. ჯავარას ცხოვრება წინააღმდეგობებით არის მოცული, იგი ცეცხლოვანი და ექსპრესულია, ცბიერი, დაუნდობელი და შურისმაძიებელი. ამავე დროს ფაქიზად ატარებს გეთილშობილურ, ღამაზ გრძნობას — სიყვარულს. არობელიძე — ჯავარას როლში არის შურისძიებით აღსავსე, ყოველი ნაბიჯის გადადგმაში იგრძნობა აფორიაქებული გულისძგერა...

1971 წლის ოქტომბერში, როცა მოსკოველებმა ფართოდ აღნიშნეს დიდი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის იუბილე, დიდ თეატრში უკვდავი „აბესალომ და ეთერის“ და „დაისის“ გარდა, მაყურებელს უჩვენეს ოთარ თაქთაქიშვილის „მინდია“ და რევაზ გაბიჩვაძის ბალეტი „ჰამლეტი“. ვახტანგ ჭაბუკიანის დადგმულმა ბალეტმა აღაფრთოვანა მოსკოველი თეატრის მოყვარულები, სპექტაკლი წარდგენილია სახელმწიფო პრემიაზე. ამ საჰატიო ჯილდოს მაძიებელთა შორის, სხვებთან ერთად, არის ახალგაზრდა ბალერინა ნათელა არობელიძე.

წლევანდელი წელიწადი ნათელასათვის უხვმოსავლიანი გამოდგა. თავის პარტნიორ ვალერი აბულაძესთან ერთად ორჯერ იყო, როგორც სოლო გასტროლიორი — ირანში. მათ ჩაკოვსკის ბალეტ „გედის ტბაში“ შეასრულეს ოდეტა-ოდილიას და პრინცის პარტიები. თეირანის გაზეთებში ბალეტის სპეციალისტებმა მაღალი შეფასება მისცეს მათ გამოსვლას. გაზეთი „კაისანი“ აღნიშნავდა: — „რუდაქის სახელობის დარბაზში უჩვენეს ბალეტი „გედის ტბა“, რომელშიც ცეკვავდა ორი ქართველი სოლისტი. ნათელა არობელიძემ გვაჩვენა თავისი უზადო ხელოვნება. მისმა გამოსვლამ წარმოდგენას ფერადოვნება შემატა, მისმა ხელოვნებამ დარბაზი მოწონების შეძახილებით შეაზანზარა“.

ნათელა არობელიძემ თავისი ბოლო ორი ნამუშევარი: ოფელია „ჰამლეტში“ და ოდეტა-ოდილია „გედის ტბაში“ მიუძღვნა სახელოვან თარიღს, საბჭოთა სახელმწიფოს დაარსების 50 წლისთავს. ახლო მომავალში თეატრი ახორციელებს „გედის ტბის“ დადგმის ახალ რედაქციას. რომელშიც ნათელას, როგორც წინათ, აკისრია ოდეტა-ოდილიას რთული პარტიის შესრულება. ეს პარტია მისთვის განსაკუთრებით პასუხსაგებია არა მარტო თავისი სირთულით და ხასიათით, არამედ იმითაც, რომ ნათელა მას იცეკვებს ამ ღირსშესანიშნავ იუბილეს დღეებში.

რევაზ მაჩაიძე,


თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორის მოადგილე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი.




სურათზე: ნათელა არობელიძე ჩაიკოვსკის ბალეტ „გედის ტბაში“.


წარსული და სინამდვილე











„კარგია ბავშვობა!“ — როგორღაც სინანულით წარმოთქვამს ხოლმე ადამიანი და ამ ნათქვამში იგრძნობა ბავშვობაში განცდილ დღეების სასიამოვნო გახსენება. ჟამთა სვლა ვერ აჭარწყლებს ამ მოგონებებს, რადგან ისინი, ის მოგონებები, ადამიანის სულში აღიბეჭდებიან მაშინ, როცა იგი სრულიად ფაქიზი და ხალასია. პატარაობისას განცდილი დიდი სიხარული, ან სულაც მცირე წყენა ძნელად გვავიწყდება... ვერ ვივიწყებთ ადგილებს, საგნებს, ადამიანებს, რომლებიც გვიყვარდა, ძვირფასია ჩვენთვის. ისინი სამუდამოდ რჩებიან ჩვენს შეგნებაში.

ეს ჭეშმარიტება ყველასათვის ნათელი და გასაგებია. სწორედ ამიტომაც გავუგეთ ჩვენს თანამემამულეს ბატონ შალვა გიგოლაშვილს, რომელიც როგორც გაზეთ „სამშობლოს“ მკითხველებს ახსოვთ, 1970 წლის 13 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში გვწერდა: „11 წლისა ვიყავი, როდესაც მშობლები დავკარგე თბილისში. მეხსიერებამ კარგად შემოინახა 1917-1918 წლების რევოლუცია, რომელიც ჩემს ქვეყანაში მოხდა. 1919 წელს ბრიტანეთის არმიამ ინგლისში წამიყვანა, 1923 წლიდან კი ემიგრირებული ვარ ავსტრალიაში.

47 წელიწადი ვცხოვრობ სიდნეიში და მყავს 5 ავსტრალიელი ბავშვი. უმცროსი გოგონა 8 წლისაა, მე კი ახლა 65 წლისა ვარ. სერიოზულად ვფიქრობ ახლო მომავალში ჩემს სამშობლოში ჩამოსვლაზე“...

და მას შემდეგ გაიმა სამშობლოსთან დიდი ხნის წინათ გაწყვეტილი ძაფი. ბატონ შალვას ნათესავებიც გამოუჩნდნენ საქართველოში. უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოებიდანაც მივაწვდინეთ ჩვენი ხმა შორეულ კონტინენტზე გადახიზნულ თანამემამულეს, რომელიც გულითა და სულით გამოგვეხმაურა: „თქვენი წერილი ხელთა მაქვს, — გვწერდა იგი, — სიტყვებს ვერ ვპოულობ, რომ გამოვხატო ჩემი დიდი მადლობა, თქვენი და გაზეთ „სამშობლოსადმი“, რომელმაც გამოაქვეყნა ჩემი წერილი, რომელშიც გამოვთქვი სურვილი ჩემი წინაპრების ძებნის შესახებ. ყოველივე ამან ჩემს მოლოდინს გადააჭარბა. მოხარული ვარ, რომ გამიგეთ ჩემი ფიქრები — ორმოცდაათი წელია მოლოდინში ვარ და ვფიქრობ ჩემი ბავშვობის დღეებზე. ვოცნებობ, რომ ერთ მშვენიერ დღეს სამშობლოს ხილვის სურვილი შემისრულდეს...“

ბატონი შალვას ეს წერილი საამო მოგონებებით იყო დახუნძლული: „...ჩემმა მახსოვრობამ შემოინახა ჩემი ბავშვობის მხოლოდ თორმეტი წელი, რომელსაც განძად ვინახავ. ფუნიკულიორის ვაგონებს გაოცებაში მოვყავდი, ხიდიდან დავცქეროდი ხოლმე მოდუდუნე მტკვარს, ხილით დატვირთულ ტივებს, ბაზრისაკენ რომ მიემართებოდნენ, მიყვარდა ხევებში ხეტიალი და ბროლივით კამკამა წყაროს წყალი, ესეც კი მახსოვს. როდესაც ყველაფერს წარმოვიდგენ და ვგრძნობ, რომ სინამდვილეში შორს ვარ ყოველივე ამისგან... თქვენი წერილი მაახლოვებს ჩემს სახლთან... იმედი მაქვს, რომ უახლოეს მომავალში ვინახულებ ჩემს სამშობლოს საქართველოს და პირადად ვნახავ იმ პროგრესსა და ცვლილებებს, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში მოხდა...“

მართლაც, ბატონო შალვა, მერწმუნეთ, რომ ნახევარი საუკუნის შემდეგ საქართველოსთან კვლავ შეხვედრა დიდ სიხარულსა და სიახლეს გიმზადებთ. ძნელადღა იცნობთ ჩვენს ჭაღარა და მარად ახალგაზრდა თბილისს. ქალაქის არქიტექტურაში შემორჩენილი ზოგიერთი ძველი ქუჩები და კვარტალები მას მხოლოდ „ისტორიულ სურნელებას“ უნარჩუნებენ. ახლისა და ძველის თავისებური შერწყმა მას განუმეორებელ მომხიბვლელობას ანიჭებენ. თქვენ ამაში პირადად დარწმუნდებით და სიამოვნებასთან ერთად შეიძლება პატარა რომანტიკული სევდაც კი დაგეუფლოთ, როცა ველარ იხილავთ თქვენს მახსოვრობაში შემორჩენილ ზოგიერთ ნაცნობ ადგილს, რომლის შეცვლაც თვით ახალმა ცხოვრებამ მოითხოვა.

საქართველოში ჩამობრძანებამდე კი გვსურს შემოგთავაზოთ პატარა ფოტო-ექსკურსია თქვენსა და ჩვენს თბილისში. ძველი თბილისის მეგზურად გამოვიყენებთ თქვენი ქალიშვილის, დებრას მიერ ამ დღეებში ავსტრალიიდან გამოგზავნილ ფოტოებს, რომლებიც თქვენ სათუთად შემოვინახავთ. იმავე ადგილების დღევანდელი ფოტოები კი თავისას გვიამბობენ.

სურათებზე:

1. ალექსანდრე ნეველის სახელობის სამხედრო ტაძარი. ეს ტაძარი აგებული იყო ცარიზმის მიერ კავკასიის საბოლოო დამორჩილების აღსანიშნავად და სრულიად უცხო იყო თბილისისათვის, როგორც გარეგნობით ისე თავისი არსით, ამიტომაც დაინგრა იგი.

ამ ადგილზე დღეს საქართველოს სსრ მთავრობის სახახლე დგას (მარჯვნივ).

2. გოლოვინის პროსპექტი.

რუსთაველის გამზირი ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთი ძირითადი კულტურულ-ადმინისტრაციული ძარღვია. დღეს მას კონკის, ცხენებისა და ეტლის ნაცვლად ქალაქის ტრანსპორტის ყველაზე ახალი სახეობის „მეტროს“ სადგურები ამშვენებს. (მარჯვნივ).

3. ციციანოვის ალმართი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ალმართი. ალმართმა სახელიც იცვალა და ნირიც, მაგრამ რაღაც „ძველი სურნელება“ მაინც შემოინახა. (მარჯვნივ).

4. სასახლის ჭუჭის დასაწყისი.

ეი იგივე ადგილი დღეს. (მარჯვნივ).


5. მამადავითის მთა და ფუნიკულიორი.


ფუნიკულიორს დღეს საჰაერო საბაგირო გზაც უმშვენებს გვერდს. სადღაა ძველი ჭოხშახები... მამადავითის მთის ფერდობზე პანთეონში განისვენებენ გამოჩენილი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი. (მარჯვნივ).


თბილისმა არნახული ტემპით იწყო ზრდა. ამ უკანასკნელ წლებში თბილისს მრავალი ახალი უბანი შეემატა — ავჭალის, დიღმის, ვეძისის, საბურთალო-დელისის, ფონიჭალის, ნავთლუღისა და სხვათა სახით.

მობრძანდით და თვითონ ნახეთ!











გულნარა აბაშმაძე

რედაქტორი გივი კარბელაშვილი

ჩვენი მისამართი: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66188

ფასი 5 კაპ.